პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 284 (10678) | შაბათი, 8 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

სოფლის ინტელიგენციის პატრიოტული ვალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი არმია. ხალხის წიაღიდან გამოსული ჩვენი ინტელიგენცია სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მასთან და თავის მიზანსა და მოწოდებას სოციალისტური სამშობლოს დაუცხრომელ სამსახურში ხედავს. საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ნიჭიერი ინტელიგენციით და მაღალ შეფასებას აძლევს მის შემოქმედებითს შრომას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგად, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მოპოვებულია უდიდესი მიღწევები სოციალისტური ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. გაიფურჩქნა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა.

რესპუბლიკაში არის 19 უმაღლესი სასწავლებელი, წლითიწლობით იზრდება სკოლების, ტექნიკუმებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. მეცნიერული მუშაობის მძლავრ ცენტრად გადაიქცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებით.

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწეობს 5.667 მეცნიერი მუშაკი. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებული სპეციალისტები თავდადებულად მუშაობენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში — ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მაღაროებსა და მშენებლობებზე, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში საპატიო როლი აკისრია სოფლის ინტელიგენციას. საკოლმეურნეო სოფელს დიდი კულტურული ძალები ჰყავს. მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი არმია თავდადებულად მუშაობს კომუნიზმის კულტურული, განათლებული მშენებლების, პარტიის, ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდობის აღზრდისათვის. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დაუცხრომლად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის. მედიცინის მუშაკები იცავენ სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას, იბრძვიან სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სკკპ XX ყრილობამ ყურადღება გაამახვილა მშრომელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, მტლებისა და საბჭოთა მეურნეობების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები სოფლად საბჭოთა კულტურის პროპაგანდისტები უნდა იყვნენ. ისინი მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას, დაეხმარონ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის მათი დარაზმვის საქმეში.

შეუძლებელია კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების მუშაობის სათანადოდ მოწყობა, თუ ამაში აქტიურად არ მონაწილეობენ მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები. სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სოფლის ინტელიგენციამ.

საკოლმეურნეო სოფელში მაღალი კულტურის დამკვიდრებისათვის აქტიურად იბრძვის მახარაძის რაიონის ინტელიგენცია. იგი განსაკუთრებული ენთუზიაზმით მონაწილეობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში. ამის შედეგია, რომ რაიონის ბევრ სასოფლო კლუბში სისტემატურად ეწყობა თემატური საღამოები, იკითხება ლექციები სხვადასხვა თემაზე, მაღალ დონეზე დგას წრეების მუშაობა, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების საქმიანობა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ინტელიგენცია. აქ სასოფლო კლუბთან არსებულ ლექტორთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ადგილობრივი საშუალო სკოლის დირექტორი მ. უთრუთაშვილი. ლექტორთა ჯგუფი სისტემატურად აწყობს ლექციებს საინტერესო თემებზე. ლექტორები კარგად იცნობენ კოლმეურნეობის საწარმოო საქმიანობას, დაუცხრომლად ავრცელებენ მოწინავე გამოცდილებას, პროპაგანდას უწევენ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებს. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სასოფლო კლუბთან არსებული დრამატული წრე, რომელსაც მასწავლებელი ქ. ტუხაშვილი ხელმძღვანელობს.

კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები წარმოადგენენ პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენ ბაზებს სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისათვის. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება ამ დაწესებულებებისადმი, ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში სოფლის ინტელიგენცია.

საქართველოს კპ მთელი რიგი რაიონული კომიტეტები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ინტელიგენციასთან, რაზმავენ მას პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის. მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომმა მოაწყო ინტელიგენციის სარაიონო კრება, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში ინტელიგენციის ამოცანების შესახებ.

ფაქტები მოწმობენ, რომ ყველგან როდი ექცევა საჭირო ყურადღება ინტელიგენციის ენთუზიაზმისა და ინიციატივის გამოყენებას სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სათანადოდ დაყენებისათვის. ბოლნისის რაიონში ინტელიგენტთა რაოდენობა 500 კაცს აღემატება, მაგრამ მასწავლებლების, ექიმების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დიდი ნაწილი ჩაბმული არ არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში. ასევე სუსტად მონაწილეობს სოფლად მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ახალქალაქისა და ახმეტის რაიონების ინტელიგენცია.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ვალია ფართოდ გამოიყენონ ინტელიგენცია სოფლად კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად, სისტემატურად იზრუნონ სოფლის ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ახლა, როცა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები თავდადებულ შრომას ეწევიან მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად, სოფლის ინტელიგენციის პატრიოტული ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

სსრ კავშირის ორდენების გადაცემა

4 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ორდენები გადასცა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფს. ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ა. თ. გორკინმა.

ლენინის ორდენები გადაეცათ მწერალს ნ. ს. ტიხონოვს, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 60 წლისთავის გამო თვალსაჩინო დამსახურებისათვის საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, და კომპოზიტორ დ. დ. შოსტაკოვიჩს, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 50 წლისთავის გამო დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების დარგში. შრომის წითელი დროშის ორდენები გადაეცათ არქიტექტორ ა. ი. ლანგმანს, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 70 წლისთავის გამო დამსახურებისათვის საბჭოთა არქიტექტურისა და მშენებლობის განვითარების საქმეში და პოეტს პ. გ. ანტოკოლსკის, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 60 წლისთავის გამო დამსახურებისათვის საბჭოთა ლიტერატურის განვითარების დარგში. „საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა მწერალ მ. გ. პაპავას, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 50 წლისთავის გამო დამსახურებისათვის საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების დარგში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ტიხონოვმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას და აღუთქვა, რომ დაჯილდოებულნი მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ შთაუნერგონ ხალხს მაღალი კომუნისტური შეგნება და სიყვარული მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომისადმი.

კ. ე. ვოროშილოვმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ დამსახურებული ჯილდოები და განაცხადა, რომ პარტია და ხალხი მაღალ შეფასებას აძლევენ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის მუშაკთა შემოქმედებითს საქმიანობას და მოუწოდებენ მათ მთელი ძალღონე და ცოდნა მოახმარონ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას.

გორის ბამბეულის კომბინატში



ფოტო შ. კუკულავისა.

გორის ბამბეულის კომბინატში სამ სართავ დაზგას უწევს მომსახურებას მაღალკვალიფიციური მრთველი ტატიანა სუვოროვა. იგი ყოველდღიურად 27,1 პროცენტით მეტ ნართს იძლევა, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. მოწინავე მრთველი სისტემატურად უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას ამხანაგებს. იგი რთვის მაღალი ტექნიკის დაუფლებაში სხვებთან ერთად მრთველ ნატალია ჩოჩიევასაც ეხმარება. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კომბინატის სართავი ფაბრიკის მოწინავე მრთველს ტ. სუვოროვას (მარცხნივ), რომელიც ნართის ხარისხის გაუმჯობესების საკუთარ ხერხს აცნობს ნ. ჩოჩიევას.

კომბინატის ნართისა და ქსოვის ხარისხის შესამოწმებელი ლაბორატორია ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით დამზადებული ხელსაწყოებითა და მექანიზმებით არის აღჭურვილი. გორის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწორედ აქ, ამ ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა თამარ ნაცვლიშვილმა. იგი ჯერ მოსწავლედ იყო, ახლა კი ლაბორანტია. სურათზე ქვემოთ — ლაბორანტი თ. ნაცვლიშვილი გადამხვევ მანქანაზე ამოწმებს ნართის გამძლეობას.

ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲔᲚᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲔᲑᲘ ᲬᲧᲘᲑᲣᲚᲨᲘ

ტყიბული. (საკ. კორ.). როგორც ცნობილია, ტყიბულში ფართოდ იყენებენ ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავების ჰიდრავლიკური ვსების მეთოდს. ტყიბულელმა მეშახტეებმა ამ მეთოდით მუშაობა საბჭოთა კავშირში პირველად აითვისეს და გარკვეული გამოცდილებაც მიიღეს. მეშახტე ნოვატორებმა მეცნიერ მუშაკებთან ერთად სწორად გადაწყვიტეს ქვედა ჰორიზონტებზე ქვანახშირის ამოღებისას გამონამუშევრებში სავსები მასალის ტრანსპორტირების, წყლის ამოტუმბვისა და საკარიერო კომპლექსის მშენებლობის პრობლემები. ახლა უკვე დადასტურებულია, რომ ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს ქვანახშირის დანაკარგებს, უსაშიშროს ხდის და აადვილებს მეშახტის შრომას.

ამას წინათ ტყიბულში ჩამოვიდა დონბასელ სამთო ინჟინერთა ორი ჯგუფი. ისინი გულდასმით გაეცნენ ჰიდრავლიკური ვსების საქმეს, ამ საქმეში ტყიბულელთა გამოცდილებას. დონბასელები განსაკუთრებული დაინტერესებით სწავლობენ სავსები მასალის ჰიდროტრანსპორტირების საკითხს.

უფრო ახლოს პრაქტიკასთან

საგარეჯოს საშუალო სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა პოლიტექნიკურ სწავლებას. სკოლაში მოწყობილია სახელოსნო, კაბინეტ-ლაბორატორიები; სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეები აკვირდებიან მცენარეთა ზრდა-განვითარებას, რაც დიდად ეხმარება მათ საგნის სწავლაში; ამასთან ისინი ეჩვევიან შრომას. სკოლას ახლო კავშირი აქვს მტს-თან და საგარეჯოს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურთან.

საინკუბატორო სადგურის დათვალიერებამ და მისი მუშაობის გაცნობამ ჩვენს მოსწავლეებს აღუძრა სურვილი სკოლაშიც გაეკეთებინათ მარტივი სახის ინკუბატორი. ბიოლოგიისა და მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის მასწავლებლების ე. ქურთიშვილისა და ვ. შიოშვილის ხელმძღვანელობით განზრახვა მალე სისრულეში მოიყვანეს. ინკუბატორში 35 კვერცხი მოათავსეს. შემოღებულ იქნა მოსწავლეთა სადღეღამისო მორიგეობა. სამი კვირის შემდეგ გამოიჩეკა 30 წიწილა, რომლებსაც მოსწავლეები უვლიან. ახლა კი გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ 1.000 კვერცხის ტევადობის ინკუბატორი.

სკოლას ახლო კავშირი აქვს აგრეთვე კოლმეურნეობებთან. უფროსი კლასის მოსწავლეები არდადეგების პერიოდში ფიზიკური შრომით ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს, ხოლო ამას წინათ კოლმეურნეობა „ახალ შრომასა“ და მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში მოსწავლეებმა 120 ჰექტარზე უდანაკარგოდ აიღეს სიმინდის მოსავალი. მეთერთმეტეკლასელ გ. როსტიაშვილს მოსავლელად მიჩენილი ჰქონდა კოლმეურნეობის 1,5 ჰექტარი სიმინდის ნათესი, ხოლო მის თანაკლასელ რ. დრეიძეს — 4.000 კვადრატული მეტრი ფართობის ვენახი. მოსწავლეებმა ამ ფართობებზე სიმინდისა და ყურძნის მაღალი მოსავალი მოიყვანეს.

ჩვენი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს უფრო ახლო კავშირი იქონიოს მტს-თან, კოლმეურნეობებთან და საინკუბატორო სადგურთან.

ნ. ოგანეზოვი,
საგარეჯოს საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მშენებლები ეხმარებიან კოლმეურნეობებს

სამგორის სარწყავი სისტემის სიონის წყალსაცავის მშენებლები დიდ დახმარებას უწევენ თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებს. მარტო გასული ორი წლის განმავლობაში მათ კოლმეურნეობებს აუშენეს 9 ათასი ტონის ტევადობის სასილოსე ტრანშეები.

სიონმშენის კოლექტივი ეხმარება კოლმეურნეობებს საგზაო მშენებლობის გეგმების შესრულებაშიც. ამას წინათ სიონმშენის ავტოსატრანსპორტო კანტორის და მექანიზაციის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყეს შაბათობა. 21 თვითსაცელი ავტომანქანა, ერთი თვითსატვირთავი მანქანა და ერთი ბულდოზერი თავისი მომსახურე პერსონალით დაეხმარნენ სოფლების ტუშურების, ჩეკურაანთგორისა და ორხევის კოლმეურნეობებს საგზაო მშენებლობაში. შაბათობის მონაწილეებმა ერთი დღის განმავლობაში 6 კილომეტრ გზაზე დაყარეს 300 კუბმეტრზე მეტი ხრეში. ამ სამუშაოს შესრულებისათვის კოლმეურნეობებს მარტო ავტომანქანების დატვირთვისათვის დასჭირდებოდათ 500-ზე მეტი კაცის გამოყვანა.

შაბათობის წარმატებით ჩატარებაში განსაკუთრებით ისახელა თავი თვითსატვირთავი მანქანის მემანქანემ ა. წიკლაურმა, რომელმაც თითქმის 12 საათის განმავლობაში შეუსვენებლად იმუშავა და უზრუნველყო თვითსაცელი ავტომანქანების ხრეშით დატვირთვა, რითაც ღიღური დავალება 300 პროცენტით შეასრულა.

ავტომძღოლებმა მ. ლიმინსკიმ, ლ. ფარემუზომა, კ. ბოტვინიკოვმა, ს. ბენაშვილმა და ა. აბდულაევმა დღის განმავლობაში მოაწყეს 10-10 რეისი თვითეულმა, რითაც ხრეშის გაზიდვის დავალება ორმაგად შეასრულეს.

ა. ოგგაიძე,
გაზეთ „ახალი თიანეთის“ რედაქტორი.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეებმა და კოლმეურნქალებმა შეასრულეს მეცხრეტალეტის-ექვსწლედის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 დეკემბრისათვის შეასრულეს დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა: ხორცისა — 100,5 პროცენტით, რძისა — 100,7 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით. (საქდესი).

რკინიგზის ახალი ვაგზალი

ტყვარჩელი, 7 დეკემბერი. (საქდესი). აკარმარის სადგურში დამთავრდა სამგზავრო ვაგზლის მშენებლობა. ძველი შენობა ლამაზი და მოხერხებულია. ვაგზალს აქვს ვრცელი საერთო დარბაზი, დედათა და ბავშვთა ოთახი, ბუფეტი, საპარიკმახერო. ვაგზალი მაღაროელთა დაბის ცენტრს უერთდება მიწისქვეშა გვირაბით, რომელიც განათებულია დღის სინათლის ლამპებით.

ახალი ვაგზლის აგებით დამთავრდა მზადება სამგზავრო მოძრაობის დასაწყებად კვეზან-აკარმარის ელექტროფიცირებული რკინიგზის შტოზე.

თეთრი წყაროს რაიონში

რაიონულ ცენტრში

სულ უფრო ლამაზდება რაიონის ცენტრი — დაბა თეთრი წყარო. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქ ბევრი რამ გაკეთდა. აშენდა კავშირგაბმულობის კანტორის შენობა, წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა რაიკავშირის ადმინისტრაციული სახლი. დასასრულს უახლოვდება ადგილობრივი მრეწველობის ორსართულიანი სახლის მშენებლობა. რაიონის მშრომელებმა მიიღეს ახალი კეთილმოწყობილი აბანო. მოასფალტდა ქუჩები, გაკეთდა ტროტუარები.

სასოფლო ბიბლიოთეკები

ყოველწლიურად უმჯობესდება რაიონის მოსახლეობის კულტურული მომსახურება. ახლა იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც ბიბლიოთეკა არ იყოს. მარტო წელს ახალი სასოფლო ბიბლიოთეკები გაიხსნა სოფლებში მარაბდაში, დრეში, არხოტში, არდისუბანში, ივანოვკაში და ქოსოლარში. ბიბლიოთეკებისათვის შეძენილია მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის 10.000-ზე მეტი ცალი წიგნი.

ინდივიდუალური ბინათმშენებლები

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის შედეგად მატულობს კოლმეურნეთა შემოსავალი. ეს კი მათ საშუალებას აძლევს აიშენონ კეთილმოწყობილი სახლები. ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფო. წელს რაიონში მათ მიეცათ 200.000 მანეთი გრძელვადიანი კრედიტი. მარტო დაბა თეთრ წყაროში წელს 80-ზე მეტმა კომლმა აიშენა ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლები. მშენებლობა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სოფლებში ჯორჯიაშვილში, ღოუბანში, ბორბალოში და სხვ.

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებისათვის რაიონში მუშაობს 7 მუდმივი კინოდანადგარი და სამი მოძრავი კინო. 9 თვის განმავლობაში გაიმართა 2.478 კინოსეანსი, რომლებზეც აჩვენეს ბევრი მხატვრული, დოკუმენტალური და სასოფლო-სამეურნეო კინოსურათი.

მომავალი გაზსადენის ტრასზე

ერთი თვის წინათ, როცა კავკასიონის მთებში არც ისე დიდი თოვლი იყო, ჯვრის უღელტეხილით მიმავალი მგზავრი გზის ნაპირას უთუოდ შეამჩნევდა ტოპოგრაფიულ ნიშანს წარწერით: — „გაზსადენი მოზდოკი — თბილისი“.

ასეთივე პატარა ბოძებია ჩამწკრივებული საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით, ხოლო ქალაქ ორჯონიკიძიდან ისინი მიემართებიან ჩრდილოეთით, ქალაქ მოზდოკთან ალმოსავლეთისაკენ უხვევენ და შედიან პატარა სოფელ ბრატსკოეში, სადაც გაკეთებულია იმის ნიშანი, რომ აქ გაივლის სტავროპოლ-გროზნოს გაზსადენის მომავალი მაგისტრალი და აქვე დაიწყება ამ მაგისტრალის თბილისის განშტოება.

შეიძლება ჩვენს რესპუბლიკაში ბევრს წარმოდგენილი არ ჰქონდეს თუ რა დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს ადამიანისათვის საწვავის ეს თავისებური სახე, რომელსაც არც ნავთის სუნი აქვს და არც ჭვარტლი, თუ რა იაფი და რა მოსახერხებელია იგი არა მარტო ყოფაცხოვრებაში, არამედ მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

ქართველმა მწყემსებმა, რომლებმაც საზამთრო საძოვრების ტრასა ამ ცოტა ხნის წინათ გაიარეს, თავისი თვალით ნახეს ბუნების ეს საკვირველება ანუ „მარადიული ცეცხლი“, როგორც გაზს ძველთაგანვე უწოდებდნენ.

ეს მოხდა სტანიცა ვოზნესენსკაიაში, ორჯონიკიძე — მოზდოკის გზის შუა უბანზე, სადაც გუდამაყრელ მეცხვარეებს ღამე ცისქვეშ უნდა გაეთიათ, მაგრამ იღბალზე ცეცხლის გასაჩაღებლად ასანთი არ აღმოაჩნდათ და მის საძებნელად იძულებული გახდნენ სტანიცაში წასულიყვნენ.

...ქოხის კარი მოხუცმა კაზაკმა გააღო და, ისე, როგორც ამ მხარეში ყველას სჩვევია, უცნობი ადამიანები სახლში მიიპატიჟა, სადაც სასიამოვნო სითბო და მყუდროება იყო.

მწყემსებს გაუკვირდათ, რომ ოთახში ღუმელი არ ჩანდა. ემალირებულ ყუთზეკი, რომელიც კუთხეში იდგა და ერთი შეხედვით მაცივარს უფრო ჰგავდა, ქვაბი იდგა, საიდანაც ორთქლის შიშინი ისმოდა.

მასპინძელმა სტუმრების სახეზე გაკვირვება რომ ამოიკითხა, ეშმაკურად თვალი მოჭუტა და ღიმილით თქვა:

— მალე საქართველოშიც გექნებათ ასეთი რამ, ეს გაზია, რომელსაც მალგობეკის ნავთობის სარეწებიდან ვიღებთ...

შემდეგ მოხუცმა ქვაბი ასწია და მწყემსებმა დაინახეს ცისფრად მოლივლივე ცეცხლის ალი, რომელიც ლითონის ლამაზ ზედსადგარზე ირხეოდა.

— ძვირი ჯდება? — იკითხეს სტუმრებმა.

— კაპეიკები, დღედაღამ რომ გვენთოს, აბანოც რომ ყოველდღე გავახუროთ, დიდი, დიდი თვეში ათმა მანეთმა მოგვიწიოს, ამ თანხის ქვანახშირი თუ შეშა რამდენიმე დღესაც არ გვეყოფოდა... მწყემსები ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ სითბოს ამ საოცარ წყაროს და იმ დროს ნატრობდნენ, როცა მათს სახლებში ელექტროობის გვერდით „მარადიული ცეცხლიც“ დამკვიდრდება.

ჩვენ ვესაუბრეთ ინჟინერ ბორის პეტრენკოს, იმ ექსპედიციის ხელმძღვანელს, რომელიც მუშაობს მომავალი გაზსადენის ტრასის დადგენა-მონიშვნაზე ბრატსკოედან ჯვრის უღელტეხილამდე.

— როგორც ცნობილია, — თქვა ამხ. პეტრენკომ, — მეექვსე ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს მაგისტრალური გაზსადენები, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 9 ათას კილომეტრს მიაღწევს. ბუნებრივი გაზის საბადოებიდან, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი სამშობლოს ბევრი რაიონი, ფოლადის მილები წავა ლენინგრადში, მინსკში, გროზნოში, ხარკოვში, გორკში, თბილისსა და სვერდლოვსკში.

გაზსადენის ყველაზე დიდი მაგისტრალია სტავროპოლ-მოსკოვის ხაზი. ამ დიდი ობიექტის საშენებლო მოედანი გაშლილია 1.300 კილომეტრზე — ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსკოვის ტყეებამდე. უკვე დამთავრდა ამ მაგისტრალის სამხრეთი უბნის მშენებლობა, ბუნებრივი გაზი უკვე მიიღო ქალაქმა როსტოვმა.

— დამავიწყდა მეთქვა, — განაგრძობდა ექსპედიციის ხელმძღვანელი, — რომ სტავროპოლის ბუნებრივი გაზის საბადო ყველაზე მდიდარია მთელ ევროპაში, ამასთან იგი ხასიათდება ისეთი ბუნებრივი წნევით, რომ გაზი თვითდინებით წავა მოსკოვში, გროზნოში, თბილისში და სხვა ადგილებში.

„მოზდოკ-თბილისის“ გაზსადენის სამუშაოები დაიწყო შარშან ნოემბერში, ამჟამად ვამთავრებთ ტოპოგრაფიულ გადაღებას, რასაც აწარმოებს ჰიდროენერგოპროექტის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის თბილისის განყოფილების გეოდეზიური სექტორი (ხელმძღვანელი ნ. გოგიჩევი).

ტოპოგრაფიული ექსპედიცია გაყოფილია ორ ჯგუფად, თბილისიდან ჯვრის უღელტეხილამდე მუშაობს ინჟინერ ვ. ბორზოვის ჯგუფი, ხოლო უღელტეხილიდან ბრატსკოემდე — ჩვენი. ამჟამად ჩვენი ექსპედიცია უკვე ამთავრებს ტრასის დაზუსტებას, მალე დაიწყება ტექნიკური პროექტის შედგენა. გაზსადენის პროექტის მთავარი ინჟინერია ამხ. ა. გამოვი.

აღსანიშნავია, რომ გაზსადენი მოზდოკი-თბილისი თავისი პროფილით მსოფლიოში ყველაზე რთული იქნება, იგი გაივლის ჩრდილოეთ კავკასიის ვაკეებს, შევა დარიალის ხეობის ვიწროებში, გადაკვეთს ჯვრის უღელტეხილს და შემდეგ არაგვისა და მტკვრის ხეობებით შეიჭრება საქართველოს დედაქალაქში.

განზრახულია ქ. ორჯონიკიძეში აშენდეს გაზის გამანაწილებელი სადგური. ტრასის ყველაზე რთულ უბანზე, სოფელ თერგისპირიდან გუდაურამდე წავა გაზსადენის ორი ხაზი. ეს იმისათვის, რომ ერთი ხაზის დაზიანების შემთხვევაში, მეორე ხაზით გაზმა თავისუფლად იდინოს, ამასთან თვითეული ხაზის მილებს შიგნით მოთავსდება მილების მეორე წყება. ესეც იმისათვის, რომ გაზსადენმა ერთი წუთითაც არ შეწყვიტოს გაზის მიწოდება.

იმ რთულ სამუშაოებში, რაც გაზსადენის ტრასზე დღემდე ჩატარდა, თავი გამოიჩინეს ინჟინერ-ტოპოგრაფებმა გ. სადაღიშვილმა, ს. შახპარონოვმა, ი. სოლნიშკინმა, ლ. ნესტეროვამ, ტ. კრამარენკომ და სხვებმა.

საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით მდებარე დასახლებული პუნქტები თერგისპირა, ლარსი, ყაზბეგი, სიონი, კობი, გუდაური, მლეთა, ფასანაური, ჟინვალი, მცხეთა და სხვები თბილისთან ერთად მიიღებენ გაზს.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მკვეთრად შევამციროთ შრომისა და მაჯერიალური სახსრების ხარჯვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის რაიონის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის პრაქტიკიდან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა დაუცხრომლად იმუშაონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, დარაზმონ კომუნისტები და მთელი საბჭოთა ხალხი იმისათვის საბრძოლველად, რომ შეიქმნას მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე.

ამ დიდი ამოცანის განსახორციელებლად ყრილობამ მოითხოვა უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია, უმოკლეს ვადაში განხორციელდეს ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციიდან მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციზე გადასვლა, ძირეულად გაუმჯობესდეს საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების პროპაგანდისა და პრაქტიკაში დანერგვის საქმე, რათა ყოველივე ამის საფუძველზე მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვის მკვეთრი შემცირება, ყველა კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება.

თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ პრაქტიკულად შეასრულონ პარტიის XX ყრილობის წინასწარდასახულობანი, სულ უფრო აძლიერებენ ბრძოლას კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულზე შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვის შემცირებისათვის. ამ მხრივ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს, საგრძნობლად გაადიდეს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე პროდუქციის წარმოება, დიდი რაოდენობით ზოგავენ შრომასა და მატერიალურ სახსრებს მარცვლეულის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე.

მაგრამ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიც, სადაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ეკონომიკის საკითხებს, არ ზრუნავენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ცუდად ეწევიან ანგარიშს.

გავადიდოთ შრომადღის ანაზღაურება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება

— ჩვენი კოლმეურნეობის ყველა მშრომელი იმისათვის იბრძვის, — გვითხრა სოფელ კისისხევის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზას“ პარტიაროს მდივანმა ს. ევსტაფიევმა, — რომ შემდგომ გავადიდოთ შრომადღის ანაზღაურება და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

ამ მიზნის მისაღწევად კოლმეურნეობაში თანმიმდევრულად ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომითი და ფულადი დანახარჯების შემცირების ყველა ღონისძიებას.

უწინარეს ყოვლისა, აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო კადრების ეკონომიური ცოდნით შეიარაღებას. ამ ამოცანას ემსახურება სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი, რომელსაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ეკონომისტი გ. საგანელიძე ხელმძღვანელობს. სემინარში, რომელიც გასული წლის ნოემბრიდან მოქმედებს, გაერთიანებული არიან კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, ბუხჰალტერი, აგრონომი და ზოოვეტტექნიკოსი, ბრიგადირები და მერგოლურები. სემინარის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციის, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელების, მექანიზაციისა და პრაქტიკაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საკითხები.

სემინარის მეცადინეობაზე, რომელიც თვეში ერთხელ ეწყობა, გულდასმით განიხილავენ საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას, კონკრეტულ მაგალითებზე აკვლევენ იმას, თუ როგორ და რა გზით უნდა შეამცირონ პროდუქციის წარმოებაზე შრომითი და ფულადი დანახარჯები. სემინარის ერთ-ერთი მეცადინეობა მიეძღვნა თემას: „შრომის ორგანიზაცია საკოლმეურნეო წარმოებაში“. ამ საკითხზე ლექცია წაიკითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. საგანელიძემ. მან სემინარის მონაწილეებს მოუთხრო საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებზე, როგორიც არის გამომუშავების ნორმების სწორად შედგენა და შრომადღეებია აღრიცხვის მოწესრიგება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება და სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა-გაფართოება. ლექციამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. სემინარის მონაწილეებმა მოიყვანეს მეცხოველეობის ფერმებში გამომუშავების ნორმების არასწორად შედგენის ფაქტები, დაასახელეს შრომის დისციპლინის დარღვევის, გარედან მუშახელის დაქირავების შემთხვევები. მომხსენებელმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა სემინარის მონაწილეთა გამოსვლებს და შათ პირობა მისცა, რომ პარტიული ორგანიზაცია და კოლმეურნეობის გამგეობა სწრაფად აღმოფხვრიან შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ამჟამად უკვე საგრძნობია სემინარის მუშაობის დადებითი შედეგი. საკოლმეურნეო კადრები ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს, იღებენ ზომებს საკოლმეურნეო წარმოების რეზერვების გამოყენებისათვის. კერძოდ, სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა კოლმეურნეობაში მმართველობის აპარატის გაიაფებისა და ზედმეტ თანამდებობათა შემცირებისათვის. გაუქმებულ იქნა, მაგალითად, მეხანძრის თანამდებობა, რაზეც ყოველთვიურად 25 შრომადღე იხარჯებოდა. ამჟამად მეხანძრის მოვალეობას საზოგადოებრივი დატვირთვის წესით მოწინავე კოლმეურნეები ასრულებენ და მთლიანად უზრუნველყოფენ ხანძარსაწინააღმდეგო წესების მტკიცედ დაცვას. საშენი მასალების საწყობის გამგეს თვეში 30 შრომადღე ეძლეოდა. ახლა საწყობის გამგის თანამდებობა გაუქმებულია და საწყობის მეთვალყურეობა დაკისრებული აქვს მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელს, რის შედეგად კოლმეურნეობას წლიურად რამდენიმე ასეული შრომადღე დაეზოგება ისე, რომ საქმეს არავითარი ზიანი არ მიადგება. კოლმეურნეობაში შექმნილი იყო ასეთი თანამდებობა — მეურმეთა ბრიგადირი, რაზეც თვეში 30 შრომადღე იხარჯებოდა. ამჟამად ცოცხალი გამწვეი ძალა და ურმები მემინდერეობის ბრიგადირებს აქვთ ჩაბარებული, რითაც წლიურად ასობით შრომადღეს ეკონომია კეთდება. ამას გარდა შემცირებულ იქნა მთელი რიგი სხვა თანამდებობანი, რომელთა შენარჩუნება კოლმეურნეობისათვის არ იყო აუცილებელი. სულ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში გაუქმდა ან შემცირებულ იქნა 22 თანამდებობა, რაზედაც კოლმეურნეობა ყოველწლიურად 4.600-ზე მეტ შრომადღეს ხარჯავდა.

დიდი ღონისძიებანი განხორციელდა კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, რამაც შედეგიც კარგი გამოიღო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალგაზრდა კოლმეურნეებთან მუშაობას. კოლმეურნე ქალიშვილებისათვის გაიხსნა ჭრა-კერვის სკოლა. კოლმეურნე ჭაბუკებმა კი ახალგაზრდულ-კომკავშირული რგოლი ჩამოაყალიბეს.

კოლმეურნეობამ არასრულ საშუალო სკოლის შენობას სამი საკლასო ოთახი მიაშენა, ამის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი საშუალო სკოლად გადაკეთება. ახლა ამ სოფლის ახალგაზრდობას საშუალება აქვს ადგილზე მიიღოს საშუალო განათლება და კოლმეურნეობაშიც იმუშაოს. ახალგაზრდა კოლმეურნეებისადმი ზრუნვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ისინი უფრო აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ წარმოებაში, რამაც დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებას. სწორედ ამაზე მეტყველებენ ქვემოთ მოყვანილი ციფრები:

ყოველდღიურად სამუშაოზე გამოსულ კოლმეურნეთა რაოდენობა

წლები	ივლისში	აგვისტოში	სექტემბერში	ოქტომბერში
1954	481	430	416	429
1955	573	587	528	509
1956	751	728	781	812

არ შეიძლება არ დავასახელოთ კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: 1955 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი გამომუშავებული არ ჰქონდა 195 კოლმეურნეს, 1956 წლის პირველ ნახევარში კი ასეთ კოლმეურნეთა რიცხვი 21 კაცამდე შემცირდა. წინათ, როცა კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა მოშვებული იყო, ხშირი იყო გარედან მუშახელის დაქირავების შემთხვევები. 1954 წელს, მაგალითად, გარედან მუშახელის დაქირავებაზე გაცემულ იქნა 22.376 მანეთი. ამჟამად კი გარედან მუშახელის დაქირავების შემთხვევები მთლიანად აღმოფხვრილია.

კოლმეურნეობაში დიდი მშენებლობაა გაჩაღებული. 1955 წლის ივნისის შემდეგ აშენდა და მწყობრში ჩადგა: საკოლმეურნეო კლუბი, პირუტყვის სადგომი 120 სულისათვის, 750 ტონის ტევადობის სასილოსე ტრანშეი და 200 ტონის ტევადობის მარანი. ამას გარდა გამოყვანილ იქნა 7 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი.

ყველა ეს მშენებლობა განხორციელდა ადგილობრივი რესურსებისა და მუშახელის მაქსიმალურად, მოფიქრებულად გამოყენების გზით, ფულადი სახსრების მინიმალური დანახარჯებით. საშენი ქვა, კირი, აგური, კრამიტი, ქვიშა ადგილზევე იქნა დამზადებული. კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო ტყიდან მორების გამოტანის ნებართვა და საკუთარი ძალებისა და საშუალებების გამოყენებით თვითეული კუბმეტრი ფიცრის დამზადება 390 მანეთით უფრო იაფი დაუჯდა.

განუხრელად იზრდება კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მოვიყვანთ ზოგიერთ დამახასიათებელ ციფრს. კოლმეურნეობას 82,5 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი აქვს. 1954 წელს კისისხეველებმა მიიღეს 3.475 ცენტნერი ყურძენი, 1955 წელს — 3.754, მიმდინარე წელს კი — 8.400 ცენტნერი. ეს ნიშნავს, რომ წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი ყურძენია მოკრეფილი.

ასევე აღმავლობის გზით მიდის საზოგადოებრივი მეცხოველეობა. 1954 წელს საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიღებულ იქნა 452 კილოგრამი რძე, 1955 წელს — 752, 1956 წელს კი — 951 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამისა.

— ჩვენ იმისათვის ვიბრძვით, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. საგანელიძე, — რომ 1957 წელს ვადამდე შევასრულოთ პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებული დავალება — თვითეულ ძროხაზე მივიღოთ 1.200 კილოგრამი რძე.

მაგრამ კოლმეურნეობაში ყურადღებას აქცევენ არა მარტო პროდუქციის წარმოების რაოდენობრივ ზრდას, არამედ მისი თვითღირებულების შემცირებასაც. კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა ვ. რცხილაძემ გამოიანგარიშა თვითეული ცენტნერი რძის, ყურძნისა და მატყლის თვითღირებულება წლების მიხედვით და აი როგორი სურათი მიიღო:

1955 წელს კოლმეურნეობას ერთი ცენტნერი ყურძნის მოყვანა დაუჯდა 4,01 შრომადღე და 21 მანეთი და 30 კაპიკი ფულად, ხოლო 1956 წელს — 1,84 შრომადღე და 7 მანეთი და 54 კაპიკი ფულად.

თვითეული ცენტნერი რძის წარმოება დაჯდა: 1955 წელს 8,05 შრომადღე და 8 მანეთი და 15 კაპიკი ფულად, ხოლო 1956 წელს — 5,05 შრომადღე და 8 მანეთი და 2 კაპიკი ფულად.

საგრძნობლად არის შემცირებული შრომითი და ფულადი დანახარჯები მატყლის წარმოებაზეც. 1955 წელს თვითეული ცენტნერი მატყლის თვითღირებულებამ შეადგინა 71,45 შრომადღე და 150 მანეთი და 45 კაპიკი ფულად, ხოლო 1956 წელს — 52,34 შრომადღე და 99 მანეთი და 21 კაპიკი ფულად.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად გადიდდა შრომადღის როგორც ნატურალური, ისე ფულადი ღირებულება. 1955 წელთან შედარებით 1956 წელს თვითეული შრომადღის ღირებულება ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

ღრმად ჩავწვდეთ ეკონომიკას, ვისწავლოთ ანგარიში

მარტში რაიონული პარტიული აქტივის კრებამ, რომელმაც პარტიის XX ყრილობის შედეგები განიხილა, პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ღრმად ჩაწვდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას, ისწავლონ ანგარიში, იბრძოლონ იმისათვის, რომ შრომისა და მატერიალური სახსრების ნაკლები დანახარჯებით რაც შეიძლება მეტი პროდუქცია აწარმოონ.

მაგრამ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის რაიონის ბევრი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს. ეს განსაკუთრებით შეეხება სოფელ გულგულას სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, სადაც ძალიან მაღალია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. ამას ცხადყოფს მარტო ერთი მაგალითიც: 1955 წელს სოფელ კისისხევის კოლმეურნეობას ერთი კილოგრამი ხორცის წარმოება დაუჯდა 2 მანეთი და 53 კაპიკი, ვარდისუბნის კოლმეურნეობას — 7 მანეთი და 90 კაპიკი, ხოლო გულგულას კოლმეურნეობას — 21 მანეთი.

მაგრამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ღრმად არ ჩაუკვირდნენ ამ ციფრებს, არ შეუდგნენ იმ ფაქტორების შესწავლას, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას იწვევენ.

სწორედ იმიტომ, რომ წარმოების ეკონომიკას ღრმად ვერ სწვდებიან და არც ანგარიში უყვართ, სოფელ გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სისტემატურად იზრდება პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომითი და ფულადი დანახარჯები. ან როგორ შეიძლება არ გადიდებულიყო ხორცისა და სხვა პროდუქტების თვითღირებულება, როცა აქ ყოველწლიურად იზრდება შრომითი დანახარჯები. მაგალითად, 1954 წელს მეცხოველეობაში დაიხარჯა 8.187 შრომადღე, 1955 წელს — 11.227, 1956 წლის მარტო 9 თვეში კი — 8.706 შრომადღე. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ 1954-1955 წლების განმავლობაში პირუტყვის საკვების შეძენაზე კოლმეურნეობამ 22.000-მდე მანეთი დახარჯა.

კოლმეურნეობაში მოშვებულია შრომის დისციპლინა. 1955 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი გამომუშავებული არ ჰქონდა 91 კოლმეურნეს, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 67 კოლმეურნეს. გასულ წელს კოლმეურნეობაში არ უმუშავნია 39 კაცს, წელს კი ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის ეკონომიკის შესწავლით აქ ნაკლებად არიან დაინტერესებული.

— რამდენი მანეთი გიჯდებათ თვითეული კილოგრამი რძე? — ვეკითხებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. კუსრაშვილს.

— ვერ გეტყვით, ჯერ არ გვიანგარიშნია, — მორიდებით ამბობს იგი.

ჯერ არ უანგარიშნიათ! მაგრამ რომ მოენდომებინათ, მაინც ვერ გამოიანგარიშებდნენ, რადგან კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ა. გოგნაძე სუსტად ეკვევა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების საკითხებში. მის შესახებ ჯერ კიდევ 1955 წლის დეკემბერში რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ცუდად მუშაობსო.

კოლმეურნეობაში 23 კომუნისტი და 40-ზე მეტი კომკავშირელია. ბევრი მათგანი დიდი ხანია მუშაობს ბრიგადირად, მერგოლურად, უნარიანად ასრულებს თავის მოვალეობას და დიდი სურვილი აქვს შეისწავლოს კონკრეტული ეკონომიკის საკითხები.

— ჩვენ მოვითხოვეთ პარტიულ ორგანიზაციას შეექმნა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრე, — ყვცხადებენ ისინი საუბარში.

— მართლაც, ჩვენთვის ამ წრის ჩამოყალიბება აჯობებდა, — ადასტურებს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ა. კიკნაძეც.

რაკი სჯობს და სურვილიც არის, მაშინ კიდევაც უნდა ჩამოყალიბდეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრე. პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ამისათვის უნდა იზრუნოს პარტიის თელავის რაიკომმა.

რა ჯდება თვითეული ქათამი?

— მეფრინველეობა ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგია, — ამბობს პარტიის თელავის რაიკომის მდივანი ზ. გელდიაშვილი. ამასვე აცხადებენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებიც. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ თელავის რაიონმა გასულ სამეურნეო წელს ვერ შეასრულა ფრინველის მოშენების გეგმა.

ამ მხრივ, შეიძლება იქნას, ყველაზე უფრო შეუწყნარებელი მდგომარეობაა სოფელ შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 1 ოქტომბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 600 ფრთა ფრინველის ნაცვლად მხოლოდ 174 ფრინველი ჰყავდათ.

— მექათმეობა ჩვენთან არარენტაბელური დარგია, — გვეუბნება კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი გ. სარქისოვი და დაწვრილებით აგვიწერს ამ დარგის სავალალო მდგომარეობას.

მეფრინველეობის ფერმაში ორი კოლმეურნე მუშაობს, რომელთაც 600-ის ნაცვლად ახლა მხოლოდ 137 ყვერცხმდებელი ქათამი ჰყავთ, შრომადღეებს კი უკლებლივ უწერენ. წელს კოლმეურნეობის გამგეობამ ინკუბატორიდან 1.100 წიწილა გამოიყვანა, მაგრამ ყველა მოკვდა. თვითეული წიწილის შეძენა კი კოლმეურნეობას 1 მანეთი და 50 კაპიკი დაუჯდა. ამავე დროს მეფრინველეობაში მარტო 1956 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე დახარჯულია 730-ზე მეტი შრომადღე, ხოლო მთელი წლის განმავლობაში ქათმების გამოკვებას 12 ტონამდე სხვადასხვა სახის საკვები მოხმარდა. ხარჯები მეტად დიდია, შემოსავალი კი ძალიან ცოტა! გასულ სამეურნეო წელს მიღებულია 1.621 ცალი კვერცხი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.660 ცალისა. ასე რომ თვითეულ ქათამზე მთელი წლის განმავლობაში 12 კვერცხიც არ მოდის.

— რომ ვიანგარიშოთ, თვითეული ქათამი, ალბად, ას მანეთზე მეტი გიჯდებათ, — ვეუბნებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. გაგუნაშვილს.

— ეს მართლაც ასე იქნება, — გვეთანხმება იგი და ყველაფერს ქათმის დაავადებას აბრალებს. — არ იქნა და ქათამი დაავადებისაგან ვერ დავიცავით, ზოოვეტსპეციალისტებიც ვერაფერს გვეხმარებიან. სულ სხვა საქმეა ყურდღლის მოშენება: სწრაფადაც მრავლდება და ხორციც ძვირფასი აქვს.

რა თქმა უნდა, მეკურდღლეობის განვითარება ცუდი არ არის. მაგრამ ეს მეფრინველეობის ხარჯზე როდი უნდა მოხდეს.

მექათმეობის განვითარებაში კარგი გამოცდილება აქვს შეძენილი თელავის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურს. წელს აქ მოაწყეს წიწილების გალიებში გამოზრდა-გასუქება. ყოველი 1.000 ფრთა წიწილიდან შენარჩუნებული და გამოზრდილია 988. თვითეული წიწილა ორი თვის შემდეგ ნახევარ კილოგრამს იწონის. აღსანიშნავია, რომ აქ სამი თვის ვარიის თვითღირებულება რვა მანეთს არ აღემატება.

სამწუხაროდ, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურის ამ მეტად ძვირფას გამოცდილებას კოლმეურნეობები სუსტად სწავლობენ და პრაქტიკაში არ ნერგავენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას არც პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

ფართოდ მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე დიდად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. უკანასკნელ წლებში თელავის რაიონში მექანიზაცია განსაკუთრებით ფართოდ ხორციელდება მევენახეობაში. 1954 წელს მარტო თელავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობების ვენახებში რიგთაშორის ხვნა ჩატარდა 3.060 ჰექტარზე, 1955 წელს — 3.330, 1956 წელს კი — 4.399 ჰექტარზე.

მარტო წელს მექანიზაციის გამოყენების შედეგად კოლმეურნეობებმა ვენახების რიგთაშორის ხვნაზე 19.355 და რიგთაშორის კულტივაციაზე 1.574 შრომადღე დაზოგეს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რაიონის მტს-ების მუშაობაში ყველაფერი რიგზე იყოს. პირიქით, როგორც თელავის, ისე ნაფარეულის მტს-ებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ. ერთ-ერთი მთავარი ნაკლია ის, რომ მექანიზატორები მთელი ძალით არ იბრძვიან სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის. მაგალითად, ნაფარეულის მტს-ში თვითეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაიზარდა: 1954 წელს 2 მანეთითა და 96 კაპიკით, ხოლო 1955 წელს — 4 მანეთითა და 27 კაპიკით. თვითღირებულების გადიდების მიზეზები უნდა ვეძებოთ იმაში, რომ სრული დატვირთვით არ იყო გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ამასთან ადგილი ჰქონდა საწვავ-საცხები მასალების გადახარჯვას.

არსებულ ტექნიკასა და რეზერვებს სუსტად იყენებენ წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებიც. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მეურნეობა არა თუ მაგალითს არ უჩვენებს, არამედ ბევრ მოწინავე მეურნეობასთან შედარებით სისტემატურად ყურძნის დაბალ მოსავალსაც კი იღებს.

სურათი კიდევ უფრო ნათელი იქნება, თუ ერთმანეთს შევადარებთ წინანდლის საბჭოთა მეურნეობისა და თელავის რაისამრეწველო კომბინატის მევენახეობის მეურნეობის მაჩვენებლებს.

გასულ წელს წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში 360 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 51,2 ცენტნერი ყურძენი.

სამრეწველო კომბინატის მევენახეობის მეურნეობას კი 96 ჰექტარი ვენახი აქვს. აქედან 1955 წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მოკრეფეს 52,8 ცენტნერი ყურძენი. მეურნეობაში გაწლილია ბრძოლა იმისათვის, რომ თვითეულ ჰექტარ ვენახზე რაც შეიძლება ნაკლები შრომა და ფული დახარჯონ და ამასთან მაღალი მოსავალი მიიღონ. ეს ბრძოლა შესანიშნავ შედეგებს იძლევა: 1955 წელს აქ, წინანდლის საბჭოთა მეურნეობასთან შედარებით, თვითეული ცენტნერი ყურძნის წარმოება 61 მანეთითა და 72 კაპიკით ნაკლები დაუჯდათ.

გავაძლიეროთ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა

პარტიის XX ყრილობის შემდეგ თელავის რაიონის პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას. თუ გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი 7 სემინარი მუშაობდა, მიმდინარე სასწავლო წელს დამატებით 2 სემინარი და 8 წრე შეიქმნა. ამას გარდა პარტიის რაიკომთან წელს პირველად შეუდგა მუშაობას ორწლიანი ეკონომიური სკოლა, სადაც ძირითადად პოლიტიკურ ეკონომიას და სოფლის მეურნეობის ეკონომიკას სწავლობენ.

მაგრამ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარებისა და წრეების მუშაობაში ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, შალაურის, ვარდისუბნის, აკურის და სხვა კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებთან მოქმედ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელ სემინარებსა და წრეებში აქამდე არ დაუწყიათ პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების საკითხების, ხორცის, რძის, ხორბლის, ყურძნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე შრომითი და ფულადი დანახარჯების შემცირების საკითხების, კოლმეურნეობის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის, მისი შედგენისა და დამტკიცების წესებსაც შესწავლა. ყველივე ამის ღრმად შეთვისება კი აუცილებლად დაეხმარებოდა საკოლმეურნეო კადრებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის ფართოდ გაჩაღებაში.

უეჭველია, კარგ შედეგს გამოიღებდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე ეკონომიური კონფერენციის მოწვევა. მის მომზადებასა და ჩატარებაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან და ეკონომისტებთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საკოლმეურნეო კადრებმაც.

პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. კადრების ეკონომიური ცოდნით შესაიარაღებლად საჭიროა უფრო ხშირად ეწყობოდეს ლექციები და კონსულტაციები კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე, უფრო მეტი ძალითა და გაქანებით წარმოებდეს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა.

ეკონომისტების საპატიო ამოცანა

სკკპ XX ყრილობამ ეკონომისტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში მუშაობენ, დაუსახა დიდი და საპატიო ამოცანა — უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ წარმოების ხარჯებისა და საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა.

ასეთი მეთოდიკის საჭიროება კოლმეურნეობებში ამჟამად განსაკუთრებით იგრძნობა. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ახლა უფრო მეტად არიან დაინტერესებული საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკით, სურთ იცოდნენ, სოფლის მეურნეობის რომელი დარგია უფრო შემოსავლიანი, რენტაბელური.

მათ სურთ მიიღონ პასუხი ასეთ კითხვებზე:

— როგორ ვაწარმოოთ პროდუქციის ერთეულზე შრომითი და ფულადი დანახარჯების დარიცხვა?

— რა წესით გავანაწილოთ სამმართველო აპარატის ხარჯები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში წარმოებულ პროდუქციაზე?

— მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების გამოანგარიშებისას საჭიროა, თუ არა ნამატის, ისევე როგორც ყველა სხვა შემოსავლის, ფულად ღირებულებაში გამოხატვა და თუ საჭიროა, როგორ უნდა გაკეთდეს ეს?

ასეთ და ამის მსგავს კითხვებზე საჭიროა ჩვენმა ეკონომისტებმა დროულად და ამომწურავად უპასუხონ.

სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა კ. ცისკარიძემ გვითხრა:

— რა თქმა უნდა, საკოლმეურნეო აღრიცხვის ამჟამად არსებული სისტემა ერთგვარად იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვიანგარიშოთ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. მაგრამ ეს სისტემა უკვე მოძველდა და სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს. ზემდგომი ორგანოები ჩვენგან ათასვგარ ცნობებს და მასალებს მოითხოვენ, თავადაც მრავალნაირ ინსტრუქციებს და ცირკულარებს გვიგზავნიან, მაგრამ იმაზე, თუ როგორ ვაწარმოოთ პროდუქციის თვითღირებულების გამოანგარიშება და ამისათვის აღრიცხვის რა ფორმები და მასალები გამოვიყენოთ, აი ამის შესახებ კი თითქმის არაფერს არ გვეუბნებიან.

ამასვე აცხადებს კისისხევის კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ვ. რცხილაძე.

— საკოლმეურნეო ბუხჰალტერიას, — ამბობს იგი, — აქამდე არა აქვს აღრიცხვის სათანადო ფორმები და მასალები, ბევრ შემთხვევაში ზუსტად არ ხდება შრომითი და ფულადი დანახარჯების დარიცხვა, რაც ამნელებს პროდუქციის თვითღირებულების გამოანგარიშებას.

პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომითი და მატერიალური სახსრების ხარჯვის შემცირება კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ამ საკითხის გადაწყვეტაზე სერიოზულად უნდა იმუშაონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიურმა სამმართველომ.

ამოცანა ის არის, რომ თელავის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საკოლმეურნეო აქტივმა დაუცხრომლად იმუშაონ წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის საკითხებზე, უფრო მჭიდროდ დარაზმონ მშრომელები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

ვ. შავგულიძე,
ზ. ჯამასპიშვილი,
ს. ძოწილაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების კულტურა

თბილისის მედიცინის მუშაკთა აქტივის კრებაზე

იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრის საკითხებს, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დასახა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების დარგში, მიეძღვნა მედიცინის მუშაკთა აქტივის კრება, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისში.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

მოხსენება „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. მელაძემ.

თბილისში, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, წლითიწლით ფართოვდება მოსახლეობის სამკურნალო მომსახურება. აქ 200-ზე მეტი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებაა. მარტო ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დაწესებულებებში მუშაობს 2.764 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალის 4.669 მუშაკი. წელს თბილისში ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებისათვის დაიხარჯება თითქმის 17.108 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

მეექვსე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო პერსპექტიული გეგმა ჯანმრთელობის დაცვის დარგში ითვალისწინებს თბილისში მთელ რიგ ახალ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა — საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, პოლიკლინიკების, საბავშვო ბაგებისა და სხვ. მშენებლობას.

მაგრამ, როგორც მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც სახელმწიფომ შექმნა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, სრულად ვერ იყენებენ. ქალაქის სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაში ბევრი. სერიოზული ნაკლია. მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებებში, როგორც, მაგალითად, ქალაქის პირველ საავადმყოფოში (მთავარი ექიმი ამხ. ღლონტი) არის იმის შემთხვევები, რომ ავადმყოფებს უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს ჰოსპიტალიზაციაზე. საავადმყოფოებისა და სამშობიარო სახლების ზოგიერთი ხელმძღვანელის მოუქნელობის, პოლიკლინიკებთან სათანადო კონტაქტის უქონლობის შედეგად ხშირად გამოუყენებელი რჩება საწოლები მნიშვნელოვანი რაოდენობით.

ცოტა როდია იმის ფაქტები, რომ მედიცინის ცალკეული მუშაკები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას, უყურადღებოდ, უსულგულოდ ექცევიან ავადმყოფებს. რესპუბლიკურ საავადმყოფოში (მთავარი ექიმი ამხ. ქობულია) იყო ავადმყოფობის ისტორიის უყურადღებოდ შედგენის, ავადმყოფებისათვის გამოწერილი სამკურნალო დანიშნულების შეუსრულებლობისა თუ არასწორი შესრულების შემთხვევები. ბევრი ნაკლია ქალაქის მეორე საავადმყოფოს მუშაობაში (მთავარი ექიმი ამხ. ღვინიანიძე).

მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებებში ირღვევა შინაგანაწესი, იწყარებენ გამოძღვის ფაქტებს.

სამკურნალო დაწესებულებათა დიდმნიშვნელოვანი უბანია კვების ბლოკი. მაგრამ მთავარი ექიმები ყველგან ღრმად როდი სწვდებიან მათს მუშაობას. ეს იმას იწვევს, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში პარპაშებენ უპატრონო ადამიანები. კვების რეჟიმი ირღვევა საავადმყოფოში, სადაც მთავარი ექიმია ამხ. მანჯავიძე, მაგრამ იგი ბევრდს უვლის ასეთ ფაქტებს.

სერიოზული პრეტენზიები ჰქონდათ წაყენებული სავაჭრო ორგანიზაციებს — თბილისის ხილ-ბოსტნეულის ვაჭრობის, კვების მრეწველობის სავაჭროების სამმართველოებს, რომლებიც უგულგულოდ ამარაგებენ პროდუქტებით სამკურნალო დაწესებულებებს.

მოხსენებასა და კამათში დიდი ყურადღება მიექცა საბავშვო დაწესებულებათა საქმიანობის, საუბნო ექიმების მუშაობის გაუმჯობესებას.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა კარგად ორგანიზებულ მუშაობას აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს კადრების სწორად შერჩევამ, შესწავლამ და განაწილებამ. მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ამ საკითხზე საკმაოდ არ მუშაობენ.

თათბირზე ილაპარაკეს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამ საქმისადმი კონტროლის გაძლიერებას საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა, აგრეთვე ქალაქის დასუფთავების რაიონული კანტორების მხრივ. თბილისის სანიტარული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში უნდა ჩაებან სანიტარული აქტივი, ქალაქისა და რაიონული საბჭოების დეპუტატები.

ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. კ. ვასაძემ ილაპარაკა რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ ამ რაიონის მრეწველობის, მისი მოსახლეობის ზრდა მოითხოვს რაც შეიძლება მალე გადაწყდეს საავადმყოფოს მშენებლობის საკითხი.

საბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების გზებზე, იმაზე, რომ საჭიროა გაფართოვდეს სპეციალიზებული საავადმყოფოების, პოლიკლინიკების ქსელი და სწორად მოხდეს მათი დისლოკაცია, მოსახლეობასთან სამედიცინო დახმარების დაახლოებაზე, საგარეუბნო კურორტების განვითარებასა და კეთილმოწყობაზე ილაპარაკა თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ზაქარიაძემ.

ზოგიერთ საკვანძო საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებასთან, შეეხო თბილისის მთავარი თერაპევტი ამხ. ვ. ანდღულაძე.

აქტივის კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე. ილაპარაკა რა თბილისის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის გაწეულ მუშაობაზე, მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მიღწეული შედეგი ვერ დააკმაყოფილებს იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა სამრეწველო საწარმოების მუშათა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ექიმებით. საჭიროა სამეცნიერო-საკვლევი სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობა დავუახლოოთ ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების საჭიროებას, უფრო ღრმად შევისწავლოთ ცალკეულ პროფესიულ დაავადებათა მიზეზები, შევიმუშაოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებანი.

ამხ. გეგეშიძემ ილაპარაკა ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საკითხებზე, აღნიშნა ბიუროკრატიზმის ფაქტები, რომლებიც სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობაშია. ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება და ზოგიერთი რაიონული ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ორგანიზატორულ საქმიანობას, სამკურნალო დაწესებულებებისადმი დახმარებას ცვლიან უნაყოფო მიწერ-მოწერით. მარტო ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ წელს დაგზავნა 1.500-ზე მეტი სხვადასხვა დირექტივა.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მტკიცე კონტროლი უნდა განახორციელონ სამკურნალო დაწესებულებათა საქმიანობისადმი, მუდამ იზრუნონ მათი მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. დ. მამამთავრიშვილმა ილაპარაკა სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმ.-კორესპონდენტმა ნ. ანთელავამ, პარტიის სტალინის რაიკომის მდივანმა ე. ალანიამ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ჩაჩავამ, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს სამედიცინო დამ ნ. გულვერმა, სასწრაფო დახმარების სადგურის მთავარმა ექიმმა ი. ტერგრიგორიანმა და სხვებმა.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. მჟავანაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ჩუბინიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. კოვანოვმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

* * *

აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი თბილისის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. (საქდესი).

გაგრის მეგობარ-ტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის პავილიონი აფხაზეთის ასსრ საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ვამრავლოთ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მიღწევები

ქ. სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც თვალსაჩინოდ წარმოდგენილია რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა დაუღალავი შრომის ნაყოფი.

გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბნენ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მოწინავე ბრიგადირები და მერგოლურები, სახელმოხვეჭილი კოლმეურნეები და მეცხოველეობის მუშაკები. აქვე არიან საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სამრეწველო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა გამოფენის დირექტორმა ამხ. ა. თოდუამ. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გამოფენის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ა. დვინჯილიამ.

მიტინგის შემდეგ დამსწრენი, რომელთა შორის იმყოფებოდა ძვირფასი სტუმარი — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი აგრონომი იანაკი პრიფტი, შეუდგნენ გამოფენის პავილიონების დათვალიერებას.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რიცხვი. გამოფენის მონაწილეებად წელს შერჩეულია 24 კოლმეურნეობა, 9 საბჭოთა მეურნეობა, 6 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, 1 მტს-ი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი 6 სამრეწველო საწარმო, ერთი სასწავლო-საცდელი მეურნეობა, საოლქო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა 35 მოწინავე ბრიგადირმა და 342 სახელმოხვეჭილმა კოლმეურნემ.

მიმზიდველად არის გაფორმებული ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტენდი, აქვეა ამ მრავალდარგოვანი არტელის მდიდარი ექსპონატები. ქოჩარელები ახალი წარმატებებით აღნიშნავენ ყოველ სამეურნეო წელს, ზრდიან ჩაის, თამბაქოს მოსავლიანობას, მეცხოველეობის სულადობასა და მის პროდუქტიულობას. ამიტომ მკვეთრად იზრდება კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალიც. თუ 1940 წელს იგი 1.129.181 მანეთს შეადგენდა, წელს კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი 11.500.000 მანეთს უდრის.

გაშოფენაზე საამაყო მაჩვენებლებით წარმოდგენილია ამავე რაიონის სოფელ სომხური ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ორგზის იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. წელს აქ 160 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 17 ცენტნერი ხარისხოვანი ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. კიდევ უკეთესი მაჩვენებლები აქვს ცალკეულ ბრიგადებს.

გულრიფშის რაიონის სოფელ ესტონკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას სხვა დარგებთან ერთად ფართოდ აქვს წარმოდგენილი მებოსტნეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის გაწეული ნაყოფიერი შრომის შედეგები. წელს აქ 15 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღეს 180 ცენტნერი კარტოფილი (40 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1954 წელს) და ყოველ ჰექტარზე 100 ცენტნერი ხილი (59 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1954 წელს).

აღმავლობის გზით მიდის ამავე რაიონის სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალი სოფელი“, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო. წელს აქ 74 ჰექტარი სიმინდის ნათესის ყოველ ჰექტარზე მოიყვანეს 36,2 ცენტნერი მოსავალი (1954 წლის 12,3 ცენტნერის ნაცვლად), 37 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 18,9 ცენტნერი თამბაქო (1954 წელს მიღებული 11,8 ცენტნერის ნაცვლად) და 60 ძროხიდან თვითეული საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 966 კილოგრამი რძე — ორჯერ მეტი, ვიდრე 1954 წელს.

გამოფენაზე მაღალი მაჩვენებლებით წარმოდგენილია გალის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები.

სიმინდის მაღალი მოსავლიანობით ცნობილია სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. წელსაც ნაყოფიერად იშრომეს ოქუმელმა კოლმეურნეებმა. მე-16 ბრიგადამ, რომელსაც სოფლის მეურნეობის ნოვატორი ჩოქოლი ქვაჩახია ხელმძღვანელობს, 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 86 ცენტნერი სიმინდი. ბრიგადამ შარშან 6.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა თვითეულ ჰექტარზე. წელს ეს მაჩვენებელი 400 კილოგრამით გაზარდა. კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად განუწყვეტლივ იზრდება განუყოფელი ფონდი. იგი ახლა 24.700 ათას მანეთს შეადგენს, რაც სრულ შესაძლებლობას აძლევს კოლმეურნეობას განახორციელოს ფართო სამეურნეო და კულტურული მშენებლობანი.

სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობა ყოველწლიურად სულ უფრო ზრდის ხეხილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობას, იზრდება ამ დარგის ფულადი შემოსავალი, რომელიც ახლა 780.000 მანეთს შეადგენს ნაცვლად 1950 წელს მიღებული 250.959 მანეთისა.

მომდინარე წელს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმების შესრულებაში მოპოვებული მიღწევებისათვის გამოფენაზე წარმოდგენილია ოჩამჩირის მეორე მტს-ი. სატრაქტორო სამუშაოთა დაგალების დიდი გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად აქ განუწყვეტლივ იბრძვიან საწვავ-საცხები მასალისა და სარემონტო ხარჯების მომჭირნეობისათვის. ამ მტს-ის მეორე ბრიგადაშ (ბრიგადირი ხ. ჩაჩუა) გეგმით გათვალისწინებული 7.200 ჰექტარის ნაცვლად (რბილ ხვნაზე გადაყვანით) მოხნა 9.830 ჰექტარი ფართობი.

მნიშვნელოვანი წარმატებებით ამთავრებენ სამეურნეო წელს აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობების მუშები. თვალსაჩინო წარმატებები აქვს გაგრის რაიონის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობას. ყოველ საფურაჟე ძროხაზე აქ მიღებულია 5.400 კილოგრამი რძე.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილია გაგრის მერძეველობის, მეცხტრუსეობის და ოჩამჩირის რაიონის მოქვეს ჩაის საბჭოთა მეურნეობების მიღწევები.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გულრიფშის რაიონის პავილიონი აფხაზეთის ასსრ საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ფოტო გ. კვირკველიასი.

ვიეტნამელი ახალგაზრდები ეუფლებიან ჩაის ტექნოლოგიას

მახარაძე. (საკ. კორ.). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 ახალგაზრდა ჩაის ტექნოლოგიას ეუფლება მახარაძის ჩაის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში და ჩაის ფაბრიკებში.

— შეიდი თვეა, რაც მახარაძეში ვართ, და ასე მგონია, თითქოს მშობლიური ვიეტნამის ცისქვეშ ვიმყოფები, — ამბობს ჩან ვან ხოპი. საბჭოთა მეცნიერების, სპეციალისტების დახმარებით ვიძენთ ცოდნას ჩაის კულტურისა და მისი ტექნოლოგიის დარგში. ამ მხრივ ნაყოფიერ დახმარებას გვიწევენ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ი. ჩხაიძე, ი. აშიანი, ს. ფირცხალაშვილი, ი. ზოკოლავა, მასწავლებლები კ. გაბუნია, ვ. ცქვიტინაშვილი და სხვები. აქ მიღებულ ცოდნას სრულყოფილად გამოვიყენებთ ჩვენი საყვარელი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი აღორძინების დიადი საქმისათვის.

ჩაის ტექნოლოგიას წარმატებით ეუფლებიან ლამ ვან ბაი, ნგუან ვან სუკი, ვო ვან ხოა, ტრან ვან ტოტი და სხვა ვიეტნამელი სტუმრები.

ვიეტნამელი ამხანაგები 4 თვის შემდეგ გაემგზავრებიან სამშობლოში.

„ციმბირელ პარტიზანთა პაპა“

შორეული აღმოსავლეთის ექსპრესის ფანჯრიდან მოჩანს რუსეთის დაუსრულებელი, თვალუწვდენელი ველები, თვალწინ გაიელვებენ დიდი ქალაქები ქარხნების მაღლა აწვდილი მილებით, არყის ხეებით გარშემორტყმული სოფლები, ფართო მდინარეები, აქოჩრილი ჭალები, თვალსაწიერამდე გადაჭიმული ხნულები... შორს, წინ, თითქოს მიწის გულიდან იბურცება და იზრდება ყინულოვანი ოკეანიდან ყამირამდე გაწოლილი ურალის ქედის — „კამენის“, როგორც ძველათ უწოდებდნენ მას, მწვერვალები...

და აი, ციმბირიც! ტაიგით შებურული, მდიდარი, ასე რომ გხიბლავს და გიზიდავს თავისი საიდუმლოებით!

გუგუნებს ტაიგა, საუკუნეობრივ ფიქრებს შეუპარია იდუმალებით მოცული მისი ულრანები, უხალისოდ უთმობს იგი თავის ძველ სამკვიდროს ახალი ადამიანების შეუპოვარ მარჯვენას, ახალ დიდ ქალაქებს, რომლებიც ჯერ რუკაზეც არ აღუნიშნავთ.

შეჰყურებ ამ მომწვანო-მოლურჯო ნაძვნარების ვეება მასივს, რომელიც ვინ იცის წარსულში რა ტანჯვა-წამებისა და უბედურების მოწმე არ გამხდარა, და გულში ნელ-ნელა გეპარება ეჭვი — ნეტავ მიგაგნებინებს კი ციმბირი იმ კატორღელთა კვალს, რომლებსაც მეფის რუსეთის ყოველი კუთხიდან მოერეკებოდნენ აქ ბორკილების მონოტონურ ღეღარუნში? გიამბობს თუ არა იგი რეკონსტრუქციის ან ჯარისკაცებზე, რომლებმაც სამშობლოდან მოშორებით დასდეს თავი სახალხო საქმისათვის და რომელთა შორის ბევრ ქართველ ვაჟკაცსაც იხსენიებენ?

და აი, თითქოს ამის საპასუხოდ ტაიგამ გადაშალა თავისი ულრანი ტყეები და ყ. ირკუტსკის მთაზე გადმომდგარი „ციმბირელი პარტიზანების პაპის“ ნესტორ ალექსანდრესძე კალანდარაშვილის ყანდაკება დაგვანახვა. „პაპას“ მხრებში პარტიზანები ამოსდგომიან, წვერი ქარზე გაშლია, ხელში წითელი დროშა უჭირავს და ირწიეოვით გაჰყურებს ქალაქს, მის ზურგს უკან კი მწვანე ფოთლები შრიალებენ კულტურისა და დასვენების პარკში.

არ შეიძლება არ მოგეხიბლოს ამ ადამიანის ვაჟკაცურმა სახემ, ადამიანისა, რომელსაც ციმბირში ხალხმა ალერსით „ჩვენი პაპა“ და „ჩვენი ნესტორი“ შეარქვა.

რა გზა განვლო მან პაწაწინა ყართოულ სოფელ კვირიკეთიდან ციმბირამდე?

წლების მანძილზე დუმნენ ამის შესახებ წიგნები, ჟურნალები... მაგრამ თანდათან ალაპარაკდნენ საარქივო ქაღალდების გაყვითლებული ფურცლები, ოციანი წლების ციმბირის გაზეთები, მუზეუმების ფონდები და ის დოკუმენტები, რომლებსაც ფაქიზად ინახავს ნ. კალანდარაშვილის თანამებრძოლი და მეუღლე, ამჟამად ირკუტსკის მცხოვრები ქრისტინე ლევანის ასული კალანდარაშვილი (ღლდტი).

ნესტორ კალანდარაშვილი.

* * *

... როდესაც ძველი საქართველო გურიის ჯალანყებამ შეარყია და 1905 წლის რევოლუციამ თვითმპყრობელობის ტახტი გაბზარა, გურიის მეამბოხეთა რიგებში მგზნებარედ იბრძოდა სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელი ნესტორ კალანდარაშვილი. იგი ადრე მიხვდა, რომ ხალხთა ბედნიერი ცხოვრებისათვის საჭირო იყო თვითმპყრობელობის დამხობა, და უყოყმანოდ დაადგა რევოლუციონერის მძიმე, სახიფათო, მაგრამ ვაჟკაცური ბრძოლის სახელოვან გზას.

ამის შესახებ გვიამბობენ შავი ზღვის ნავსადგურთა მისადგომები, სადაც კალანდარაშვილი საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ იარაღს ტვირთავდა რევოლუციონერებისთვის, ოდესის, კიევის, ყერჩის სატუსაღოები; ამის შესახებ გვიამბობს შემაძრწუნებელი ალექსანდრიული ცენტრალი, საიდანაც სამი თვის პატიმრობის შემდეგ ნესტორი გაიქცა და ყალბი დოკუმენტებით ირკუტსკში დაიწყო ცხოვრება. ირკუტსკშივე იწყებს იგი იატაკქვეშა რევოლუციურ მუშაობასაც. ნესტორი ტერორის გზას დაადგა. მას ეგონა, რომ სათითაოდ შეიძლებოდა მშრომელი ხალხის მტრების მოსპობა. ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორის სელივანოვის მოკვლის განზრახვისათვის მას კვლავ აპატიმრებენ, მაგრამ ახერხებს თავის დაღწევას და ჩვეული ენთუზიაზმითა და ტემპერამენტით უბრუნდება იატაკქვეშა მუშაობას. ირკუტსკში მოწყობილ იქნა არალეგალური სტამბა. გაცოფებული ჟანდარმერია ზედიზედ ჩხრეკს კალანდარაშვილის ბინას და ნესტორს ხელახლა აპატიმრებენ. მეფის მთავრობა ცდილობს ჩირქი მოსცხოს მის პატიოსან სახელს — ნესტორს სისხლის სამართლის დამნაშავედ აცხადებენ. სწორედ ამ დროს ზარბაზნების ყუხლის 1914 წლის იმპერიალისტური ომის დაწყების ამბავი მოაქვს ციმბირამდე. თვითმპყრობელობა მილიონობით მშრომელ ადამიანს გზაჭრის მსოფლიო სასაკლაოზე უცხოელ და შინაურ ბატონთა ჯიბეების გასასქელებლად.

ერთ სუსხიან დილას ირკუტსკის ციხის ეზოში გაიჩხაკუნა გასაღებმა, სადაც ნესტორი იჯდა. ციხის უფროსის კაბინეტში მას შესთავაზეს ფრონტზე წასვლა. „თქვენთვის დამითმია თქვენი ომი“ მშრალად და მოკლედ მოუჭრა მათ კალანდარაშვილმა.

ციხემ საკმაო დრო მისცა ნესტორს, რომ მიუყვარძებლად შეეფასებინა თავისი მუშაობის შედეგები, რომ კიდევ და კიდევ ეფიქრა რევოლუციური ბრძოლის ახალ მეთოდებსა და გზებზე.

მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ერთბაშად როდი მოვიდა. იგი მზადდებოდა არალეგალური გაზეთების ცეცხლოვან სტრიქონებში, მოსკოვის, პეტერბურგის, რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის საბრძოლო გამოცდილების ქურაში. ნესტორი მიხვდა: „საჭიროა შეიარაღებული ბრძოლა, მაგრამ დაჭყლეტილი ძალებით კი არა“... და აი იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს 1917 წლის დეკემბრის ამბებში. ამ დროს, 8-დან 17 (21-30) დეკემბრამდე, ირკუტსკის ქუჩებში გაიფრიალა ბრძოლები გაჩაღდა. ცენტრალური დიდი ქუჩის (დღევანდელი კარლ მარქსის პროსპექტი) საწლებში ჩასაფრებულ ოუნკრებს მედგრად უტევდა კალანდარაშვილის ათას ხუთასი კაცისაგან შემდგარი რაზმი. ოუნკრები გაოფეთი იცავდნენ თავს, მაგრამ ნესტორის მებრძოლები თანდათანობით, მეთოდურად სდევნიდნენ მათ შენობებიდან.

„ძალიან დაგვეხმარა კალანდარაშვილი!“ — ქებით იხსენიებდნენ შემდეგ კალანდარაშვილის რაზმის მოქმედებას ჩერემხოველი მებრძოლები.

...1918 წელი. ირკუტსკში საბჭოთა ხელისუფლებაა. საბჭოთა სამხედრო ხელისუფლება ნესტორ კალანდარაშვილს ირკუტსკის პირველი საკავალერიო დივიზიონის ჩამოყალიბებას ავალებს.

მიზანი გარკვეულია, წავიდა ეჭვებისა და მერყეობის დრო! კალანდარაშვილმა მთელი თავისი მჩქეფარე ენერგიით მოკიდა ხელი ამ საპატიო დავალებას.

გარშემო მშიერი მგლებივით დაძრწიან კონტრრევოლუციის შავბნელი ძალები. ზაბაიკალიეში თავისი თეთრი ბანდები წამოშალა სისხლიანმა გენერალმა სემიონოვმ. 1918 წლის მარტში კალანდარაშვილის რაზმი, წითელი გვარდიის სხვა რაზმებთან ერთად, ლაზოს საერთო ხელმძღვანელობით სასტიკად ამარცხებს „მანჯურიის განსაკუთრებულ რაზმს“ და მანჯურიისაკენ ერეკება მას. ამ ოპერაციის დამთავრებისთანავე კალანდარაშვილი ირკუტსკში გამოძახებულ. „ცენტროსიბირის“ (ციმბირის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) განკარგულებით ირკუტსკის პირველი დივიზიონი ნ. კალანდარაშვილის მეთაურობით 1918 წლის 18 ივნისს გადაყვანილ იქნა ნიჟეუდინსკის ფრონტზე თეთრგვარდიელთა და თეთრჩეხების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მოწინააღმდეგის ჯარები ძალების შემოტევის გამო 1918 წლის ივნისში წითელი გვარდია ტოვებს ირკუტსკს და ბაიკალისაკენ იხევს.

ამ ოპერაციის დროს კალანდარაშვილს მეტად პასუხსაგები ამოცანა ჰქონდა დაკისრებული — იგი წითელი გვარდიის ნაწილების უკანდახევას იფარავდა.

იყენებდა რა მდინარე ანგარის სანაპიროს თვითეულ შვერილს, კალანდარაშვილი ნელ-ნელა იხევდა ბაიკალისკენ, სადგურ ლისტვენიჩნაიას მიმართულებით.

მისოფაილასთან რაზმს ბრძოლა მოუხდა კულტუკის სიმაღლეებისთვის, შემდეგ რაზმმა მიიღო ბრძანება — სასწრაფოდ გასულიყო სელენგინსკისაკენ, თეთრების მიერ წითელი გვარდიის ნაწილების გარსშემორტყმის თავიდან ასაცილებლად. აქ რაზმმა მთელი აგვისტო დაჰყო.

პოსოლსკაიას სადგურთან თეთრჩეხებმა გზა გადაუჭრეს ბაიკალისპირის ფრონტის ნაწილებს, რათა ისინი არ შეერთებოდნენ ბაიკალის ფრონტს. ნესტორ კალანდარაშვილმა ლაზოს ჯარებთან შესაერთებლად დაძრა თავისი დივიზიონი, მაგრამ რიცხობრივად ბევრად ჭარბ მტერთან ბრძოლაში იძულებული გახდა კიახტისაკენ დაეხია. მალე ქ. ვერხნეუდინსკში ნ. კალანდარაშვილი მე-3 საბჭოთა დივიზიის მეთაურად ინიშნება და მძიმე, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ქალაქ ტროიცკოსავსკის სამხრეთით იხევს.

ციმბირის სუსხიანი ყინვები, ტანსაცმელის, იარაღისა და სურსათის ნაკლებობა, გარშემო თავით ფეხთამდე შეიარაღებული მტერი — აი ის პირობები, რომლებშიც ნესტორ კალანდარაშვილმა, თავი აარიდა რა მტერთან პირისპირ შებმას, მონღოლეთისკენ დასძრა თავისი რაზმი, რომელიც გზადაგზა წითელ გვარდიელთა ჯგუფებს იერთებდა.

ჯიდში რაზმს ადგილობრივი ბოლშევიკებიც შეუერთდნენ.

აღსანიშნავია, რომ როგორც ყოველთვის, ნ. კალანდარაშვილის რაზმი ახლაც მრავალეროვანი იყო, იგი შედგებოდა ირკუტსკელი მუშების, ჩერემხოველი მაღაროელების, კრასნოიარსკელი რკინიგზელების, რუსების, ქართველების, თათრების, უკრაინელების, სომხებისა და უნგრელებისაგან.

ამ რთულ და ძნელ ლაშქრობაში კალანდარაშვილი აღაფრთოვანებდა თავის მებრძოლებს გამძლეობით, საბრძოლო მოსაზრებულობით, სიმამაცით.

1918 წლის სექტემბერში დაბა მონღოის ახლოს ნესტორ კალანდარაშვილმა „დაიჭირა“ ტელეფონით ლაპარაკი თეთრგვარდიელების იმ რაზმისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა „ციმბირელი პაპის“ შეპყრობა. დაბიდან ეკითხებოდნენ: „დაიჭირეთ კალანდარაშვილი?“ ნესტორმა რიხიანად უპასუხა: „დავიჭირეთ, ახლავე მანდ გავჩნდებით!“ და დაბისკენ დასძრა რაზმი, ალყა შემოარტყა მას, გადაიცვა მეფის ოფიცრის ფორმა და ამხანაგებთან ერთად დაბის სამმართველოში შეაბიჯა, სადაც თეთრი ოფიცრები ისხდნენ და „მსხვერპლს“ ელოდებოდნენ.

— სად არის კალანდარაშვილი? — მოისმა ყოველი მხრიდან მოუთმენელი შეკითხვა, რადგან ტყვე არსად ჩანდა.

— აქ გაჩლავართ, — მშვიდად წარმოთქვა ნესტორმა, — დაგვნებდით, ბატონებო, გარშემორტყმული ბრძანდებით!...

კალანდარაშვილის რაზმის გზა გადიოდა მაღალ მთებში, გაუვალ ტაიგაზე, მტრის გარემოცვაში, რომელმაც პარტიზანებისაგან ბევრი მოულოდნელი დარტყმა იგემა. მტერი ცოფმორეული დაეძებდა პარტიზანებისა და მათი მეთაურის კვალს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ უკანდახევის გზა ნ. კალანდარაშვილმა აირჩია „ცენტროსიბირის“ თავმჯდომარის ნ. ნ. იაკოვლევის წინადადებით, 1918 წლის აგვისტოს ჩიტაში მოწვეული თათბირის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. თათბირის მიზანი იყო შეთანხმებულიყვნენ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 4 დეკემბრის დღიან პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის შესახებ.

მიმდინარეობს ამერიკული პროექტის — „14 ქვეყნის რეზოლუციის“ პროექტის განხილვა, რომელშიც დადასტურებულია წინა რეზოლუციები, რომლებიც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანონო ჩარევას უნგრეთის საშინაო საქმეებში. ამერიკული პროექტი ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეები გაიგზავნონ უნგრეთის მეზობელ ქვეყნებში, თუ მეთვალყურენი არ იქნებიან დაშვებული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. ამ პუნქტის მიზანია დააკანონოს ფაშისტური პუტჩის იმ მონაწილეთა ჩვენების გამოყენება, რომელნიც უნგრეთიდან გაიქცნენ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციის ოფიციალური წყარო, რათა განაგრძონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ამ პროვოკაციული რეზოლუციის მხარდასაჭერად გამოვიდნენ ფილიპინების, სპერძნეთის, პაკისტანის, ერაყის, სალვადორის, ნორვეგიის. ტაილანდის, ირლანდიის წარმომადგენლები.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ვ. ი. სპოლნიკოვმა აღნიშნა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა კონტრრევოლუციური შეთქმულების განადგურების შემდეგ ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაამთავროს უნგრეთში მდგომარეობის ნორმალიზაცია. მთავრობა ცდილობს რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილოს ქვეყნისა და ხალხის საჭიროებანი. მაგრამ წესრიგისა და მშვიდობის აღდგენა აშკარად არ აძლევს ხელს იმათ, ვინც უნგრეთის რეაქციას წარმართავდა და შთააგონებდა. სწორედ ამით იხსნება ესოდენ დაჟინებული მისწრაფება რაც შეიძლება მეტ ხანს შეინარჩუნონ ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში.

გენერალური ასამბლეის დილის სხდომის დასასრულს „უნგრეთის საკითხის“ შესახებ გამოვიდა იუგოსლავიის წარმომადგენელი ივეკოვიჩი, რომელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის ღონისძიებებს უნდა ახმარდეს უნგრეთში მდგომარეობის სტაბილიზაციას და მოერიოს ყოველივე იმას, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს ამ საქმეს.

დასასრულ ივეკოვიჩმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნა უნგრეთში მხოლოდ გაართულებდა მდგომარეობას და რომ ამიტომ იუგოსლავიის დელეგაცია ხმას მისცემს ამერიკის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

ამასთანავე იუგოსლავიის დელეგატმა ბრალად დასდო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომ თითქოს უნგრეთის მთავრობას დაეჭიროს შეთანხმება იუგოსლავიასთან იმრე ნადისათვის და მთელი რიგი იმ პირებისათვის იმუნიტეტის მინიჭების შესახებ, რომელნიც იუგოსლავიის ბუდაპეშტის საელჩოს შენობაში იმალებოდნენ.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეა ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ განხილვას დაუბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოთხოვნით, რომელნიც პოლიტიკურ კამპანიას აწარმოებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების და ამ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის დისკრედიტაციის მიზნით. წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის ავტორები ისწრაფვიან გააძლიერონ „ცივი ომი“, ჩამოაშორონ ყურადღება აგრესიას არაბი ხალხების წინააღმდეგ. კ. ვ. კისელიოვმა გენერალური ასამბლეის ყურადღება მიაპყრო ღონისძიებებს, რომელსაც ახლა ახორციელებენ ავსტრიის მთავრობა და ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის აპარატი, რათა არ გაუშვან სამშობლოში უნგრელი ლტოლვილები, მიუხედავად მათი სურვილისა. მან აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით დაიწყო ლტოლვილთა გამალებული ევაკუაცია სხვადასხვა ქვეყანაში.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ კოლუმბიის, ბრაზილიის, საფრანგეთის, ინგლისისა და უნგრეთის დელეგატები. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული არიან „უნგრეთის საკითხის“ გაზვიადებით, რათა ჩამოაშორონ ყურადღება აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ, განსაკუთრებული თავგამოდებით უჭერდნენ მხარს ამერიკის რეზოლუციის პროექტს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა იმრე ხორვატმა აღნიშნა, რომ ოქტომბრის დამლევს და ნოემბრის პირველ რიცხვებში უნგრეთში იყო სერიოზული საფრთხე, რომ ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა ფაშიზმი. შემუშავებული იყო გეგმა, თქვა ხორვატმა, გადაეყენებინათ იმრე ნადი და შეეცვალათ იგი კარდინალ მინდსენტით, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ფაშისტურ რეჟიმს.

ხორვატმა მოაგონა სხდომას, რომ უნგრელი ხალხი მეოთხედ საუკუნეს იმყოფებოდა ჰორთის რეჟიმის უღელქვეშ, როცა უნგრეთის დაახლოებით 70 ათასი საუკეთესო შვილი — პროგრესული მოღვაწეები და ანტიფაშისტები — დახოცეს. ამტომ მან კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ფაშიზმი. ამიტომ ნოემბრის პირველი დღეებიდანვე ხალხი საბჭოთა ჯარების მხარდამხარ იბრძოდა ფაშისტური პუტჩის ჩახახშობად. ამან ათასობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. კონტრრევოლუციას რომ გაემარჯვნა და ფაშისტური დიქტატურა აღედგინათ, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ თოფის-წამლის საწყობი შექმნილიყო ევროპის ცენტრში, სადაც ადვილად შეიძლებოდა დაწყებულიყო მესამე მსოფლიო ომი. კონტრრევოლუციის დამარცხება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ გზით, რომ უნგრეთის მთავრობას საბჭოთა კავშირისათვის ეთხოვა სამხედრო დახმარება.

ხორვატმა მოიყვანა მკაფიო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ შრომითს აღმავლობას უნგრულ მუშათა და გლეხთა შორის, რომელნიც ბეჯითად შრომობენ, რათა აღადგინონ ნორმალური ცხოვრება უნგრეთში და დაეხმარონ მთავრობას განახორციელოს თავისი ფართო ეკონომიური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

შემდეგ ი. ხორვატმა აღნიშნა დიდი დახმარება, რომელსაც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა იღებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისაგან.

ხორვატმა გადაკრით უარყო მონაჭორი უნგრელ მოქალაქეთა ვითომდა „გაძევების“ შესახებ, რაც ვრცელდებოდა რეაქციული პრესის ფურცლებზე და გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან.

ამ „ხმებს“ „გაძევების“ შესახებ, აღნიშნა ხორვატმა, იმისათვის ავრცელებენ, რომ გამოიწვიონ მტრობა საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხებისადმი.

ჩვენ ვთხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, თქვა ხორვატმა, დაეხმაროს უნგრელ ხალხს სავსებით მოახდინოს მდგომარეობის ნორმალიზაცია. უნგრეთის მთავრობა მზად არის ითანამშრომლოს ყოველ საერთაშორისო ჰუმანურ მისიასთან და მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. ოდესთ ერთად მოვახმაროთ ჩვენი ღონისძიებანი ნამდვილ პრობლემებს, რომლებიც ჯერ კიდევ გადასაჭრელია.

უნგრეთის დელეგატმა განაცხადა, რომ მას აქვს თავისი მთავრობის მითითება მუდამ იქონიოს კონტაქტი გენერალურ მდივანთან უნგრეთში მისი გამგზავრების შესახებ.

* * *

4 დეკემბრის საღამოს პლენარული სხდომის დასაწყისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მოახსენა ასამბლეას, თუ რა შედეგები მოჰყვა მის მოლაპარაკებას უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ი. ხორვატთან. ჰამარშელდმა გამოთქვა სურვილი ჩავიდეს ბუდაპეშტში 16 დეკემბერს და დარჩეს იქ 16, 17 და 18 დეკემბერს.

პორტუგალიის, ესპანეთის წარმომადგენლებისა და ჩინაეშელის გამოსვლების შემდეგ, რომელნიც დორბლმორეული იცავდნენ ამერიკის პროექტს და ბოროტად სწამებდნენ ცილს საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, სიტყვა მიეცა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს ვ. ვ. კუზნეცოვს.

გენერალურმა ასამბლეამ, — თქვა მან,—თავისი ძვირფასი დროის კიდევ ორი დღე დაკარგა იმასთან დაკავშირებით, რომ დელეგაციების ჯგუფმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა ინიციატივით კვლავ სცადა გამოეყენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩასარევად. „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მოყვარულნი თითქოს არაერთხელ დარწმუნებულან, რომ სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით ჩარევის, გეგმები განწირულია ჩასაფშვნად.

ილაპარაკა რა იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც უნგრეთს, საბჭოთა კავშირსა და სხვა სუვერენულ სახელმწიფოებს უყენებენ რეზოლუციის პროექტის ავტორები, ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ეს მოთხოვნები გამომწვევი ულტიმატუმური ხასიათისაა.

მართლაც, რას ნიშნავს მოთხოვნა სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებისადმი — აცნობონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს „არაუგვიანეს 1956 წლის 7 დეკემბრისა“ თავიანთი თანხმობა — მიიღონ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი“? „ნიუ-იორკ ტაიმსის“ დღევანდელ ნომერში შეგიძლიათ წაიკითხოთ, მაგალითად, რომ თუ „საბოლოოდ დანიშნულ ვადამდე“ უნგრეთი არ დაემორჩილა დიქტატს, განხორციელებულ იქნება „უფრო მკაცრი ღონისძიებანი“. ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა შანტაჟსა და მუქარასთან. მაგრამ ეს ვერავის ვერ შეაშინებს, მხოლოდ ზედმეტად ადასტურებს, რომ „უფრო მკაცრ ღონისძიებათა“ პოლიტიკის მომხრეებმა სასტიკი გაკვეთილი მიიღეს უნგრელი ხალხისაგან და ახლა სურთ ამ ხალხზე ამოიყარონ იმის ჯავრი, რომ ჩაიფუშათ უნგრეთში თავიანთი ავანტიურა.

არ შეიძლება აგრეთვე გვერდი ავუაროთ იმას, ამბობს ვ. ვ. კუზნეცოვი, რომ თუ წინა რეზოლუციებში იყო ცდები დაერღვიათ ერთი სახელმწიფოს — უნგრეთის სუვერენიტეტი, ახლა ასევე უბოდიშოდ ხელყოფენ უკვე არა ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის სუვერენიტეტს. ახლა მოითხოვენ, რომ „მეთვალყურენი“ გაიგზავნონ არა მარტო უნგრეთში, არამედ „სხვა იმ ქვეყნებშიც, სადაც ეს მიზანშეწონილი იქნება“, ამასთან კრინტსაც არ სძრავენ იმაზე, თანახმაა თუ არა შესაბამისი მთავრობა.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ რეზოლუციაში კვლავ გამეორებულია ცილისმწამებლური ბრალდებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების — უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მიმართ. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩაიფუშა ცდები პოლიტიკური სპეკულაცია გაეწიათ აქ ამერიკის პროპაგანდის მიერ შეთხზული მითზე „უნგრელ მოქალაქეთა დეპორტაციის შესახებ ციმბირში“ და ბოლო დროს ამერიკის მთელმა რიგმა გაზეთებმაც კი იწყეს უკან დახევა, აღიარეს რა, რომ ამ უაზრო ჭორის დამამტკიცებელი საბუთები არ მოიპოვება.

ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები, თქვა შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვმა, ამბობდნენ, რომ უნგრეთში თითქოს გრძელდება აჯანყება. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ აჯანყება უნგრეთში გრძელდება მხოლოდ ზოგიერთ ადამიანთა წარმოდგენაში, რომლებსაც თავიანთი ოცნება სინამდვილედ ეჩვენებათ.

თუმცა რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“ და პროვოკაციის სხვა ცენტრები თავგაშოდებით განაგრძობენ თავიანთ შავბნელ მოწოდებებს გაფიცვებისაკენ, საბოტაჟისა და შეიარაღებული გამოსვლებისაკენ, ამჟამად უნგრეთში, წინააღმდეგ შინაგანი და საერთაშორისო რეაქციის ყოველგვარი მეცადინეობისა, აღდგენილია წესრიგი. ეკონომიკის ყველა დარგში ჩაღდება შემოქმედებითი საქმიანობა, ხდება იმ ჭრილობების მოშუშება, რომლებიც ფაშისტურმა პუტჩმა მიაყენა უნგრეთს.

ხელმძღვანელობენ რა უნგრელი ხალხისადმი სოლიდარობის გრძნობით, მეგობარი ქვეყნები ფართო ეკონომიურ დახმარებას უწევენ უნგრეთს. პურით, ხორცით, ქვანახშირით, საშენი მასალებითა და სხვა საქონლით დატვირთული მატარებლები ყოველდღე მიდიან საბჭოთა კავშირიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან. მარტო ზახონის სადგურით, რომელიც სსრ კავშირის საზღვარზეა, უნგრეთში ყოველდღე მიდის 500-დან 600-მდე ვაგონი სხვადასხვა ტვირთი.

ვინც ნამდვილად ხელმძღვანელობს უნგრელი ხალხისადმი მეგობრობის გრძნობით და სურს ნამდვილი დახმარება გაუწიოს მას პუტჩის შედეგად მიყენებული ჭრილობების მოშუშების საქმეში, მან თავისი მეცადინეობა უნდა მოახმაროს არა წამქეზებლური სიტყვების წარმოთქმას, არა ახალი არეულობის პროვოცირებას უნგრეთში, არამედ უნდა მიიღოს ღონისძიებანი, რომ უნგრელ ხალხს გაეწიოს რეალური და არსებითი მატერიალური დახმარება.

საბჭოთა დელეგაციამ, თქვა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, მთელი სერიოზულობით უნდა განაცხადოს, რომ გზა, რომელზეც პროექტის ავტორებს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურობით სურთ დააყენონ გენერალური ასამბლეა, — ეს არის საშიში გზა დივერსიისა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, გზა, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სულისკვეთებასა და პრინციპებთან. საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი „მიესალმა“ გენერალური მდივნის განცხადებას უნგრეთში მისი მომავალი გამგზავრების შესახებ. ამასთან ლოჯმა უკვე წინასწარ გამოთქვა ეჭვი, რომ ჰამარშელდის მოგზაურობამ შეიძლება მოიტანოს რაიმე შედეგი, და წინანდებურად მოითხოვდა მიეღოთ მისი რეზოლუციის პროექტი უნგრეთში და მის მეზობელ ქვეყნებში ეგრეთწოდებული „მეთვალყურეების“ გაგზავნის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა ინდოეთის წარმომადგენელი კ. მენონი, რომელმაც გაიმეორა, რომ მისი მთავრობა ილაშქრებს სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის ჯარების ყოფნის წინააღმდეგ, ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ ვისი მხრითაც უნდა იყოს ეს. ამასთან მან შენიშნა, რომ უნგრეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნა არ მიაჩნია საშინაო საქმეებში ჩარევად. ინდოეთის დელეგაცია, თქვა მენონმა, არ იზიარებს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის აზრს, რომ გენერალური მდივნის განცხადება იმის შესახებ, რომ უნგრეთის მთავრობა თანახმაა გაემგზავროს იგი ბუდაპეშტში, არ ცვლის მდგომარეობას. გენერალური მდივნის გამგზავრება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია.

მენონმა აღნიშნა, რომ ამერიკის რეზოლუციის მომხრენი თავდაპირველად ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გენერალური მდივნის გამგზავრებას უნგრეთში, მაგრამ მას შემდეგ, რაც უნგრეთის მთავრობა დათანხმდა ასეთ გამგზავრებაზე, განაცხადეს, რომ ეს გამგზავრება არ მოიტანს სარგებლობას. მაშ რაღა გსურთ თქვენ? — იკითხა მენონმა. მიგვაღებინოთ რადაც უნდა დაჯდეს თქვენი რეზოლუციისა და სხვა არაფერი?

ინდოეთის დელეგატმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ხმა მისცეს ამერიკის რეზოლუციის პუნქტს, რომელიც ლაპარაკია „უნგრეთის ხელისუფლებზე“ უნგრეთის მთავრობის ნაცვლად, რადგან ეს იქნებოდა უგულებელყოფა მთავრობის არსებობისა, რომელთანაც ინდოეთს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

მენონმა გაიმეორა აგრეთვე ამერიკის რეზოლუციის პროექტის მთელი რიგი სხვა პუნქტების წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის რეზოლუციის პროვოკაციული პროექტი მიიღო ასამბლეამ. პროექტის წინაღმდეგ ხმა მისცა 10 დელეგაციამ (სსრ კავშირი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ალბანეთი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, იუგოსლავია). 14 დელეგაციამ (ავღანეთი, ბირმა, ცეილონი, ეგვიპტე, ფინეთი; ინდოეთი, ინდონეზია, იორდანია, საუდის არაბეთი, სირია, იემენი, სუდანი, ტუნისი, მაროკო) კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ამრიგად, შეერთებულმა შტატებმა კოლონიური სახელმწიფოებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ხმების საშუალებით კვლავ თავს მოახვიეს გენერალურ ასამბლეას სამარცხვინო რეზოლუცია, რომლის მიზანია უნგრეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვა, ფაშისტური ელემენტების წაქეზება ახალი დივერსიებისა და საბოტაჟისაკენ, საერთაშორისო ვითარების შემდგომი გამწვავება.

XVI ოლიმპიურ ასპარეზობაზე

მელბურნი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ოლიმპიური ასპარეზობა მთავრდება. დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 12 ოქროს, რამდენიმე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

ბრწყინვალედ გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები. კლასიკურ ჭიდაობაში შეჯიბრების ფინალში გავიდა შვიდი საბჭოთა სპორტსმენი რვიდან. უმჩატესი წონის მოჭიდავემ ნ. სოლოვიოვმა (სსრ კავშირი) ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედალი მიეკუთვნა ი. ფაბრას (იტალია), ბრინჯაოსი — დ. ეგრიბასს (თურქეთი). მჩატე წონის მოჭიდავემ კ. ვირუპაევმა (სსრ კავშირი) სუფთა გამარჯვება მოიპოვა შვიდ ე. ვესტერბიუზე და ოქროს მედალი მიიღო. ვერცხლის მედალი მიეკუთვნა შვიდ სპორტსმენს, ბრინჯაოსი — ფ. ხორვატს (უნგრეთი). საშუალო წონის მოჭიდავემ გ. კარტოზიამ (სსრ კავშირი) აჯობა ბულგარელ მოჭიდავეს დ. დობრევს და ოქროს მედალი მოიპოვა. ბულგარელ სპორტსმენს მიეკუთვნა ვერცხლის მედალი, ახალგაზრდა შვიდ მოჭიდავეს კ. იანსენს — ბრინჯაოსი. ქვემძიმე წონის მოჭიდავემ ვ. ნიკოლაევმა (სსრ კავშირი) აჯობა შვიდ კ. ნილსონს და მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი. ვერცხლის მედალი მიეკუთვნა პ. სარაკოვს (ბულგარეთი) და ბრინჯაოსი — კ. ნილსონს. მძიმე წონის კატეგორიის მოჭიდავემ ა. პარფიონოვმა (სსრ კავშირი) ქულებით აჯობა ა. ბულგარელის (იტალია) და ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედალი მიეკუთვნა ვ. დიტრიხს (გერმანია), ბრინჯაოსი — ბულგარელს. ქვესაშუალო წონის მოჭიდავეს ვ. მანეევს (სსრ კავშირი) მოუგო თურქმა მ. ბაირაკმა. ბაირაკმა ოქროს მედალი მოიპოვა, მანეევმა — ვერცხლისა. მესამე ადგილი დაიკავა პ. ბერლინმა (შვეიცია). ფეზმსუბუქი წონის მოჭიდავე რ. ძნელაძემ (სსრ კავშირი) წააგო შეხვედრა უნგრელ სპორტსმენ ი. პოიიაკთან. ძნელაძემ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. ამ წონაში პირველობდა ფინელი რ. მაკინენი, ნაგრელმა ი. პოიიაკმა მოიპოვა ვერცხლის მედალი. მსუბუქ წონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ფინელი მოჭიდავე კ. ლეტონენი. თურქმა სპორტსმენმა რ. დოგანმა მოიპოვა ვერცხლის მედალი, ხოლო დ. ტომმა (უნგრეთი) — ბრინჯაოს მედალი.

დამთავრდა ფინალური ბრძოლა ფინელ ესპადორნში ვაჟთა შორის. ოქროს მედალი მოიპოვა რ. კარპპინიმ (უნგრეთი). ვერცხლის მედლით დაჯილდოებულია პოლონელი სპორტსმენი ე. პავლოვსკი, საბჭოთა სპორტსმენი ლ. კუზნეცოვი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

დამთავრდა ოლიმპიური ტურნირი ბალახის ჰოკეიში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ინდოეთისა და პაკისტანის გუნდები. ინდოელმა ჰოკეისტებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 და მოიპოვეს ოლიმპიური ოქროს მედალი. პაკისტანის გუნდი დაჯილდოებულია ვერცხლის მედლით. ბრინჯაოს მედალს ერთმანეთს ეცილებოდნენ გერმანიისა და ინგლისის გუნდები. გაიმარჯვეს გერმანელმა ჰოკეისტებმა ანგარიშით 3:1.

დამთავრდა ფინალური შეჯიბრება სიჩქარეზე ველოსიპედებში 1.000 მეტრზე. ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ფრანგმა მ. რუსომ. ვერცხლის მედალი მოიპოვა იტალიის წარმომადგენელმა გ. პეზენტიმ.

შემდეგ ველოდრომზე გაიმართა ფინალური რბოლა 1.000 მეტრზე დროზე. ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა ლ. ფაჯინმა (იტალია). ვერცხლის მედალი მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ლ. ფოუჩეკმა.

ფინალური რბოლა ტანდემებით 2.000 მეტრზე მოიგო ავსტრალიის გუნდმა. ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

ვაჟთა შორის ფინალურ გაცურვაში 200 მეტრზე ბრასიის სტილით ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა მ. ფურუკავამ (იაპონია). ფინიშზე მეორე მივიდა მ. იოსიმურა (იაპონია). საბჭოთა სპორტსმენმა ხ. იუნიჩევმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

ვაჟთა შორის 100 მეტრზე ზურგზე ფინალურ გაცურვაში გაიმარჯვა ავსტრალიელმა დ. ტილემ. ვერცხლის მედალი მოიპოვა მისმა თანამემამულემ დ. მონქტონმა. მესამე ადგილი დაიკავა ამერიკელმა ფ. მაკინმ.

ქალთა გუნდების ესტაფეტის ფინალში ნეგისმეიერი სტილით 4×100 მეტრზე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ავსტრალიის გუნდმა. მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, მესამეზე — სამხრეთ აფრიკის კავშირის გუნდი.

წყალბურთელთა ფინალურ ჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები. უნგრელმა სპორტსმენებმა გიმარჯვეს ანგარიშით 4:0. ნაშუადღევს ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და იტალიის გუნდები. გიმარჯვეს იუგოსლავიის სპორტსმენებმა ანგარიშით 2:1.

დამთავრდა შეჯიბრება ვაჟთა შორის კოშკიდან წყალში ხტომაში. მეექვსეკელმა სპორტსმენმა ი. კაპელამ ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზეა, გ. ტობიანი (ამერიკის შეერთებული შტატები), მესამე ადგილზე —რ. კონორი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ქალთა შორის კოშკიდან წყალში ხტომის შერჩევით შეჯიბრებაში ჯერჯერობით პირველ ადგილზეა ამერიკელი ბ. დ. მიერსი. მეორე და მესამე ადგილი უკავიათ საბჭოთა სპორტსმენებს გ. გოროხოვსკაიას და ტ. კარაკაშიანცს.

XXIV საკავშირო პირველობის ნახევარფინალი

საკავშირო საჭადრაკო ბურთულეულის თბილისის ნახევარფინალის ეტაპზე ორი შეხვედრა გრძელდებოდა.

მეთერთმეტე ტურში პეტროსიანმა დაამარცხა პირველი ექვსეულის ერთ-ერთი პრეტენდენტი პოლუგაევსკი. კოტკოვმა მოუგო ვორონკოვს, მეტად საპირო ქულები მოიპოვეს გურგენიძემ — სახაროვთან, კროგიუსმა — ბუსლაევთან, იუხტმანმა — გიორგაძესთან. ჩუკაევმა დაამარცხა კასპაროიანი. ხალიმბეილი-კორჩნოის, ტალანტოშინისა და კომლენკე-ფურმანის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეთორმეტე ტურში ანტოშინ-კროგიუსისა და კასპაროიან-კოტკოვის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. გურგენიძე-გიორგაძის პარტიაში გიორგაძემ შეა თამაშში უკეთესი მდგომარეობა მიიღო, მაგრამ შემდგომ სვლებს ბევრი დრო მოანდომა. მწვავე ციტენტაში გურგენიძემ მოწინააღმდეგეს რამდენიმე პაიკი შესწირა, გახსნა ხაზები და საშამათო მუქარა შექმნა. გიორგაძემ დროს გადაავიცა და დამარცხდა. ორმხრივ ციტენტაში მიმდინარეობდა ავრეთვე სახაროვ-ზურახოვის პარტია. გიმარჯვეა სახაროვმა. კორჩნოი-ტალის, პეტროსიან-კობლენცისა და იუხტმან-ხალიმბეილის პარტიები გადაიდო.

თორმეტი ტურის შემდეგ კვლავ წინ არის პეტროსიანი, რომელსაც 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. ანტოშინს 7,5 ქულა აქვს, კორჩნოის — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, გურგენიძეს, კროგიუსსა და კოტკოვს — შვიდ-შვიდი ქულა.

ქ. ბოგბიავა.

სამეცნიერო სესია

10 დეკემბერს საღამოს 8 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შედგება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტისა და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გ. ვ. პლეხანოვის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნება მოხსენებანი: გ. ვ. პლეხანოვი და მარქსისტული ორგანიზაციები საქართველოში (მომხსენებელი დოცენტი ნ. მახარაძე); გ. ვ. პლეხანოვი ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ (მომხსენებელი დოცენტი პ. გუჯაბიძე); გ. ვ. პლეხანოვის ბრძოლა ფილოსოფიური რეაქციონიზმის წინააღმდეგ (მომხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ო. ბაკურაძე); გ. ვ. პლეხანოვი როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი (მომხსენებელი პროფესორი ს. დანელია).

შესვლა თავისუფალია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პლენუმი

მიმდინარე წლის 8, 9 და 10 დეკემბერს საქართველოს თეატრალური საზოგადოება იწვევს საზოგადოების გამგეობის პლენუმს, რომელიც მიძღვნილია თეატრალური ხელოვნების საკითხებისადმი.

პლენუმზე წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: „დრამატურგია და თეატრი“ — მომხსენებელი მწერალი რ. ჭოჭუა, „ტიპიურობის საკითხი საბჭოთა დრამატურგიაში“ — მომხსენებელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ციცაშვილი, „თანამედროვეობის თემა ქართულ თეატრში“ — მომხსენებელი დოც. ბ. ეფენტი, „მხატვარი თეატრში“ — მომხსენებელი ო. ეგაძე, „მუსიკა თეატრში“ — მომხსენებელი პროფ. პ. ხუჭუა.

პლენუმზე გარდა გამგეობის წევრებისა, მოწვეული არიან მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, მეცნიერი მუშაკები, კომპოზიტორები, მხატვრები და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკები.

პლენუმი გაიხსნება 8 დეკემბერს საღამოს 8 საათზე მწერალთა კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის დადგენილება

ბუდაპეშტი, 5 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთებში გამოქვეყნებულია უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის დადგენილება რევოლუციური კომიტეტებისა და სხვა მსგავსი ორგანოების ლიკვიდაციის შესახებ.

23 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში, ნათქვამია დადგენილებაში, სამინისტროებში, აგრეთვე დაწესებულებებში, საწარმოებსა და ინსტიტუტებში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტები და სხვა მსგავსი ორგანოები. რევოლუციური კომიტეტების საქმიანობას აწესრიგებდნენ მთავრობის 1956 წლის 9 ნოემბრისა და 12 ნოემბრის დადგენილებანი.

ცალკეულ ადგილებში რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც უყურადღებოდ ტოვებენ მთავრობის ხსენებულ დადგენილებებს, ხელს უშლიან კანონიერი ორგანოების მუშაობას, რომელსაც უფლება აქვთ განახორციელონ ღონისძიებანი. უფრო მეტიც, უცნობმა პირებმა შექმნეს ორგანო, რომელიც თავს უწოდებს „რევოლუციური კომიტეტების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“.

ოროგორც გამოცდილება გვიჩვენებს, რევოლუციური კომიტეტები არ ახორციელებენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის რაიმე საქმიანობას. პირიქით, იქ, სადაც რევოლუციური კომიტეტები ჯერ კიდევ არსებობენ, მათი საქმიანობა მავნე გავლენას ახდენს სამეურნეო და სახელმწიფოებრივი ორგანოების მუშაობაზე, აფერხებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამოცანების გადაჭრას. ამიტომ უნგრეთის რევოლუციური მუ